5
577 ✓ 9249
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

1980 | 1 მაისი, ხუთშაბათი
№ 18 (2195)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ




პლაკატი თენგიზ სამსონაძისა

## ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულტურის მუშაკებო!

## შექმენით ჩვენი დიადი სამშობლოს შესაფერისი ნაწარმოებები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

ამ ორიოდე დღის წინ გორში მეხილეთა რესპუბლიკური შეკრება გაიმართა. შეაჯამეს გასული წლის შედეგები, გააანალიზეს ნაკლოვანებები, დასახეს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანები.

ამ ამბავმა თვალწინ ერთი სოფელი — ქიწნისი დამიყენა: იგი ხომ საქართველოს სხვა მეხილეებთან ერთად გამარჯვებული წარდგა ამ შეკრებაზე. მაგრამ ამით ქიწნისელები სულაც არ გაამაყდებიან. პირიქით, მეტი გულმოდგინებით ჩაუკვირდებიან ზოგიერთ ხელშემშლელ გარემოებას, მეტი შეუპოვრობით შეერკინებიან ნაკლოვანებებს, რომ სულ რამდენიმე თვის შემდეგ, როცა ახალი ხუთწლედი დადგება, მათი პატარა სოფლის წინსვლა უფრო საჩინო გახდეს.

გორის რაიონის ეს ღონიერი სოფელი ტიპიურია სხვა მრავალ სოფელთა შორის და მთლიანად გამოხატავს დღევანდელი საქართველოს სახეს.

# გაზაფხული ქიწნისის ბაღებში

ეთერ სახვაძე — ნარკვევი

ქართლის ველზე სახლობს ქიწნისი, ერთ დროს განთქმული თავისი ქიწნურათი, დღეს კი — ვრცელი ბაღებითა და სანერგით. ვერც ქიწნურა დაუთმია, კარმიდამოებში შეუფარებია, რომ მისი მომჟავო ლალისფერი წვენით ქოცოები აავსოს, ზოგჯერ თავკვერით ჩამუქებული.

პირს რომ ცხინვალისკენ იზამთ, ცარიელეთი და ძევერა უნდა გაიაროთ. ზემოდან ტყვიავი ადგას, გვერდით კი ქვეში.

სოფელთა შუა მოქცეული, ქიწნისიც სოფლობს: ხნავს, თესავს, სხლავს, რგავს, რწყავს, თიბავს, შემოდგომობით კი ჭირნახულს ითვლის.

მაგრამ მაინც მარტო შემოდგომას ნუ ჩავაბარებთ შემოსავლის აღრიცხვას, იმიტომ, რომ ქიწნისში ვართ, იმიტომ, რომ ქიწნისელებმა შემოდგომის მერე უფრო გააფაციცეს თვალი ანგარიშზე. ხშირ-ხშირად კითხულობდნენ, სადამდე ავიდაო ესა და ეს ციფრობრივი მაჩვენებელი, რომელიც თვით შუა ზამთარშიც მაღლა მიიწევდა, ხოლო გაზაფხულიდან სვლა უფრო ააჩქარა...

მაგრამ ამბავს თავიდან მოყოლა უხდება.

და ჩვენც იქიდან დავიწყოთ, რომ ქიწნისში შესვლას გზის მარჯვნივ ორსართულიანი, მოცისფრო ადმინისტრაციული შენობით ინიშნებთ, გულმოდგინედ მოვლილი გამწვანებული ეზოთი, წინ სოფლის მოასფალტებული გზა რომ გაუვლის, ლამპიონებით დამშვენებული.

...იმ წვიმიან დღეს მიხეილ ქობლიანიძეს თავზე მაშინ დავადექით, როცა გორში გასაგზავნ მოხსენებითს ბარათს ხელს აწერდა და ამით რაიონის ხელმძღვანელობას ატყობინებდა: სოფელმა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის გადაჭარბებით შეასრულა მეათე ხუთწლედიო.

შრომით ალსავსე ოთხი წელიწადი ქიწნისისა სულ ერთ გვერდში ჩატეულიყო. პირველ ადგილზე, ცხადია, ხილი იდგა, რადგან აქ, თუმცა სანერგე მეურნეობაა, უმთავრეს შემოსავალს ბაღები იძლევა.

და, აი, ბარათში მოკლედ ჩაეწერათ, რომ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 6186 ტონის ნაცვლად მეურნეობას 9340 ტონა ხილი მიუღია და ოთხ წელიწადშიც კი გეგმაზე დაახლოებით მესამედით გადაუჭარბებია; რომ მომავალი ხუთწლედის პირველი წლის დავალება უკვე შარშან ჰქონია განაღდებული.

ვიდრე სხვა ციფრებსაც გავეცნობოდი და ვიდრე შემოვიდოდა დირექტორი, რომელიც ეზოში ჩასულიყო და ხალხს განკარგულებებს აძლევდა, გავიფიქრე, შარშანდელი შედეგები რატომ შარშანვე არ ამცნეს და რაღა აპრილში გადმოიტანეს მოსახსენებლად-მეთქი...

მაგრამ სტრიქონებს რომ ქვემოთ ჩავყევი, დავინახე, მოხსენებითს ბარათში მარტო შემოდგომის მოსავალზე როდი ეწერა, თუმცა პირველ რიგში ის დაეყენებინათ. შარშანდელსვე ეკუთვნოდა 175 პროცენტით მარცვლეულის გეგმის შესრულება, 179 პროცენტით — ქარხლისა, 109 პროცენტით — თივისა, 154 პროცენტით — სილოსისა, 122-ით — სენაჟისა...

ამის შემდეგ კი სხვა ციფრები მოდიოდა:

2266 ათასის ნაცვლად 2432 ათასი ნერგი გასულა ქიწნისის სანერგიდან.

34 ტონის ნაცვლად 47 ტონა ხორცი მიუყიდიათ სახელმწიფოსთვის.

რძის წარმოების გეგმა 101,1 პროცენტით შეუსრულებიათ.

ჩემთვის ნათელია: ნერგების ერთ ნაწილს ამ გაზაფხულზე ამოიღებდნენ და მით გადააჭარბებდნენ ასე თვალსაჩინოდ.

ხორცის გეგმის გადაჭარბებაშიც ექნება წვლილი შეტანილი წლევანდელ წელიწადს.

მაგრამ ერთიც და მეორეც ცოტა ადრინდელი ამბავი ჩანს, რადგან ნამეტი გეგმას გვარიანად გადასცილებია. ეტყობა, სულ ბოლო დღეებამდე წველადობის გეგმის შესრულებას ელოდნენ ყველა დარგში დაწინაურებული ქიწნისელები. და, აი, 9 აპრილს ხუთწლედის ეს ბოლო ზღუდეც აუღიათ.

ახლა ერთიმეორის გვერდით უდრტვინველად ჩაჭუჭკული ციფრები, ვინ მოთვლის, რამდენი ხელის, მანქანის, დღის დაულალავი შრომის შეჯამებაა.

ვცდილობ უფრო ნათლად აღვიქვა, რას ნიშნავს ეს გამარჯვება სოფლის ადამიანებისათვის, თითოეული ქიწნისელისათვის. ხუთწლედში ნავარაუდევმა წმინდა მოგებამ 815.2 ათასი მანეთის ნაცვლად ოთხ წელიწადში რომ 2.069,2 ათასი მანეთი შეადგინა, რა ხელშესახები სიკეთე მიიღო ამით აქაურმა რიგითმა მშრომელმა? თუ ეს ციფრობრივი მაჩვენებლების ზრდა ცალკეა და მიწის მოქმედს მაინცდამაინც არაფერში დასტყობია?

სინამდვილეში, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა: მუშას აქ დღიურად 8 მანეთზე მეტი ეძლევა და ამ მხრივ ქიწნისი კეთილდღეობით საქვეყნოდ განთქმულ ნატანების კოლმეურნეობასაც წამოსწევია. სხვაობა მანეთზე ნაკლებია. უხმაურო ქიწნისელების შეძლებულობის ამბავი კი ჯერ რაიონს არ გასცილებია.

მიხეილ ქობლიანიძე, რომელიც სოფლის ხვალინდელ დღესაც ისევე ნათლად ხედავს, როგორც დღევანდელს, დაჯერებით ამბობს, რომ ორი-სამი წლის შემდეგ დღიური ანაზღაურება ათორმეტ მანეთამდე გაიზრდება.

დავინტერესდი, რისი იმედი უნდა ჰქონოდა დირექტორს, რას უნდა მოეცა შემოსავლის ასეთი დაჩქარებული ზრდა შუაგულ ქართლში? ნუთუ ისევ ხეხილის ბაღებს? მაგრამ ბაღები რომ ეგრე უცებ არ იზრდებიან? თანაც ქიწნისი ისეა სოფლებს შუა ჩაჭედილი, ახალ სავარგულებს ვერასგზით შემოიმატებს...

ჩემდა გასაკვირად, ეს ვარაუდები მიხეილ ქობლიანიძის ერთმა სიტყვამ უქმ გულშემატკივრობად მიქცია და დამანახვა, რომ მებაღეობაშიც, როგორც სხვაგან, მრავალი სიახლე ინერგება. აქ პირველად მოვისმინე გამოთქმა „ინტენსიური ანუ ჩახშირებული ბაღები“, და მისი განმარტებაც: რომ ამ შემთხვევაში ხესა და ხეს შორის მანძილი ისე მცირდება, ჰექტარზე ოთხჯერ მეტი ნარგავი ეტევა, რომ უკვე აღარავის აკმაყოფილებს ძველი, ასცენტნერიანი ბაღები და რომ ახალი წესით გაშენებული ნაკვეთები ოთხჯერ მეტ მოსავალს მისცემს მეურნეობას. რამდენიმე წელია, ქიწნისში დაიწყეს გადაბერებული ხეხილის ამოძირკვა და მის ნაცვლად ამ ძლიერი ბაღების გაშენება. თითქმის სამოც ჰექტარამდე ავიდნენ, ორ წელიწადში 100 ჰექტარსაც უკან მოიტოვებენ. მალე ერთი ნაწილი მსხმოიარობაშიც შევა, ასე რომ, როცა შემოსავლის სწრაფ ზრდაზე ლაპარაკობენ, სწორედ ამ ბაღების იმედით.

დირექტორი იმასაც ანგარიშობს, რომ ახლანდელი ნერგები ნაყოფს დაახლოებით სამი-ოთხი წლით ადრე იძლევიან. საიდუმლოება ისაა, რომ მათი საძირეები ტყიური მაყალოს თესლზე კი არ ამოჰყავთ, როგორც ადრე იყო მიღებული, — კულტურული ხეხილისაა.

და მაინც ყველაზე მეტად ქიწნისელთა თავდადების იმედით არის. დროული დაბარვით, სასუქების შეტანით, სხვლით, რწყვითა თუ შეწამვლით ისინი ახერხებენ, რომ ჩვენი ქართული მეწლე კეხურა და სინაპიც კი მეწლეუთლეებად არ დარჩნენ, განუწყვეტლივ მსხმოიარობდნენ.

ამას დაუმატეთ სანერგის შემოსავლის ზრდაც. თუ აქამდე წლიურად მხოლოდ ნახევარი მილიონი ნერგი გამოჰყავდათ, გაისიდან ეს ციფრი მილიონს მიაღწევს. სანერგე ნაკვეთები კი თვით საუკეთესო მსხმოიარე ბაღებზე მომგებიანია. ჰექტარზე 36 ათასი ძირი ეტევა, რაც 19 ათას მანეთამდე შემოსავალს იძლევა.

აი, რა რეალურ შესაძლებლობებზეა დამყარებული მიხეილ ქობლიანიძის გაანგარიშებანი.

და მარტო დირექტორი როდი ანგარიშობს ასე. მე მოვუსმინე პირველი აგროუბნის პირველი ბრიგადის ბრიგადირს, შრომის წითელი დროშის ორდენოსანს ჟუჟუნა მირაზანაშვილს, რომელიც მარწმუნებდა, რომ ქიწნისელი კაცი გულდაჯერებით, ხვალინდელი დღის ნათელი იმედით შრომობს, რადგან თვალდათვალ ხედავს სოფლის დაწინაურებას.

მერე თავის ბრიგადაზე ჩამოაგდო სიტყვა: 27 ჰექტარი მსხმოიარე ბაღი და 88 ახალშენი აბარია ჟუჟუნას. ორმოცდაათზე მეტნი ყოფილან ბრიგადაში და, ვისაც არ უნდა დაადო ხელი და საქმეზე გაამწესო, დაუზარებლად წავა. იცის, წყალში არ ჩაეყრება; თუ განაწყენდებიან, მარტო იმაზე, საქმეს რომ არ მისცემ. დღეს, მაგალითად, როგორც ყოველთვის, თავის წევრებს კარდაკარ ჩამოუარა. დილიდანვე წვიმდა. ამიტომ ზოგიერთი საწყობში გაგზავნა საძირეების დასახარისხებლად, ბევრი კი შინ დარჩა. და იცის ბრიგადირმა, შინ დარჩენილთ გულს დააკლდებოდათ. როგორ გავიდნენ პირველ ადგილზე? როგორ და ყველაფერი თავ-თავის დროზე აკეთეს და, გარდა ამისა, საქმის კარგი მცოდნენი ჰყავთ ბრიგადაში.

ჟუჟუნა სიამაყით ასახელებს საუცხოო მსხვლელებს — გოგია და ღვთისო ნაოჭაშვილებს, მყნობელ ეენია გულისაშვილს, რომელსაც კვალდაკვალ მისდევს ნამყენის შემხვევი ნორა თინიკაშვილი. მათს ხელში დღეში 5000-მდე ნერგი გაივლის... თუ საჭიროა, საუკეთესო მკრეფავებსაც ჩამოთვლის, ტონაზე ნაკლებს რომ არ კრეფენ დღეში...

მაგრამ ჯერ კრეფამდე შორია. ჯერ მხოლოდ ცისფერი წამლობაა ჩატარებული, — ასე ეძახიან შაბიამნის სქელი ხსნარით ბაღების ზღვის ფერზე მოქცევას.

ნორამ თავის ნაკვეთებში გამატარა.

დაბარულ, გაწმენდილ ბაღებში ერთი ბალახიც არ ჭაჭანებდა. და მიწის შავ ფონზე მეტისმეტად სახიერად ჩანდა ვარჯების ალნაგობა და სიცისფრე. მართლაც რომ გაწაფულ ხელს გაესხლა ისინი და ისე გაწკეპილნი გამოიყურებოდნენ, თითქოს სადალაქოში ყოფილანო.

ჟუჟუნა ხან პირველ მინდორს მაცნობდა, ხან მეორეს. აქ სანერგეა, შარშან ბრიგადამ 83 ათასი ნერგით მეტი გამოზარდა. შორს სწვდება ეს ნამყენები — სომხეთს, აზერბაიჯანს, ჩრდილო კავკასიას...

ხოლო იმ ცისფერი ბაღებიდან 131 ტონის მაგიერ 329 ტონა ხილი შემოვა...

გაივლის კიდევ ორიოდე წელიც და ნაყოფის მოცემას დაიწყებს 20 ჰექტარი ინტენსიური ბაღი, რომელიც შარშან ძველის ამონაძირკვზე გააშენეს. მანამდე ახალსაც დაუმატებენ და ასე თანდათან განახლდება ხეხილის ნარგაობა მთელ ბრიგადაში.

მერე ბრიგადირი იმაშიც გამარკვევს, რომ საბჭოთა მეურნეობაში მარტო ხილი კი არ მოჰყავთ თითქმის გაორმაგებით: მაგალითად, ლობიო ჰექტარზე 10 ცენტნერის ნაცვლად 24 ცენტნერი მოუწევიათ. ნამეტის უმეტესი ნაწილი მუშას რგებია. ასევე ჭარბად მოუყვანიათ ძირხვენები, მწვანე საკვები, თივა თუ სენაჟი, იმდენი, რომ სხვებსაც დახმარებიან. ამიტომაც, თუმცა ორმოცდათორმეტი მეწველი ჰყავთ, სხვების ასორმოცდაათსაც სჯობს, რადგან თითოეული ოთხი ათას ლიტრ რძეზე მეტს იძლევა წელიწადში.

მიხეილ ქობლიანიძისთვის და ქიწნისელებისათვის მეთერთმეტე ხუთწლედი უკვე დაიწყო. წელს 1600 ტონა ხილია დაგეგმილი, მაგრამ 2.800-ზე მეტს თუ არა, ნაკლებს როგორ დაკრეფენ. შარშან სწორედ ამდენი იყო ქიწნისური ბაღების მოსავალი.

მეურნეობის ყველა დარგში დაწინაურება და გათვალისწინებულზე თითქმის ორნახევარჯერ მეტი წმინდა მოგება მიხეილ ქობლიანიძეს ახალ საფიქრალს გაუჩენს.

იგი აპირებს სოფელს უფასოდ მიეცეს ნავთი, ასანთი, მარილი, ელექტროენერგია... მოწინავე მუშები კი დაასაჩუქროს.

დიდი ხანია უფასოდ ემსახურება სოფელს 50-ადგილიანი ბაგა.

გაცხარებული სამუშაოების დროს უფასოა მინდორში მიტანილი სადილი.

შეიძლებოდა უფასო სასაუზმე სკოლაშიც გაემართათ ბავშვებისათვის, მაგრამ შენობაში დიდი სივიწროვეა.

ქიწნისს ახალი ტიპიური სკოლა სჭირდება და არა მიშენება. მიხეილ ქობლიანიძე ამას მიაღწევს. არც შეეფერება ხვალინდელ ქიწნისს საპყარი შესახედაობის ნაგებობა.

ერთხელ დირექტორი სახელგანთქმულ ნატანებშიც ჩასულა, მათს საუცხოო ახალნაგებობებს გასცნობია და თავადაც ის სურვილი აჰკვიატებია, რომ ქიწნისელებიც შეიშნობდნენ ახალგაზრდობის სახლს, სპორტულ კომპლექსს, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს, კლუბს... და ამიტომ უნდა ჰქონდეთ კიდეც...

წამოსვლისას თვალი შევავლე ქიწნისელთა ჯილდოებს — საკავშირო, რესპუბლიკურ თუ რაიონულ დროშებს, მედლებს, საჩუქრებს.

ქიწნისი იმ რწმენით დავტოვე, რომ ერთ მშვენიერ დღეს მას საქვეყნოდ სახელგანთქმულს მოვინახულებ და მივულოცავ გამარჯვებათა ახალ წყებას.

ახლა ქიწნისში მაისობაა, ქიწნისელთა ბაღებში — ნამდვილი გაზაფხული. აქაურ გამრჯე ადამიანებს როცა ვიხსენებ, მჯერა: შემოდგომა ქიწნისში ბარაქიანი იქნება, ჭირნახული კი — დიდი სახელისა და დაფასების ღირსი.

# წიგნი და მკითხველი

## ქართული ახალგაზრდული წიგნის დღეები მოსკოვში

ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა ქართული ახალგაზრდული წიგნის კვირეული, რომელიც მოეწყო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის, წიგნის მოყვარულთა საკავშირო საზოგადოების, საკავშირო ალკკ 50-ე წლისთავის სახელობის რსფსრ ახალგაზრდობის რესპუბლიკური სახელმწიფო ბიბლიოთეკისა და ჩვენი რესპუბლიკის შესაბამისი ორგანიზაციების თაოსნობით.

კვირეული მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს და მიმდინარეობდა დევიზით „ბელადის ანდერძი — ცხოვრებაში“.

ქართველ მწერალთა და ლიტერატორთაგან ქართული ახალგაზრდული წიგნის დღეებში მონაწილეობდნენ მიხეილ ქვლივიძე, დილარ ივარდავა, უშანგი რიჟინაშვილი, გივი ჩხიკვიშვილი, ნარგიზა მგელაძე, დალილა ბედიანიძე, მაკა ჯოხაძე, თემურ აბულაშვილი, მ. გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი ნათელა რატიანი, დირექტორის მოადგილე მაყვალა ჭინჭარაული, თანამშრომლები — დარეჯან კირვალიძე, ნუნუ კიპაროიძე, ომარ შოთაშვილი, ნანა თავართქილაძე, მარინე ბუხრაშვილი, ირმა ქელდიშვილი, თეატრის, მუსიკისა და კინოს თბილისის სახელმწიფო მუზეუმის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი მზია ვაჩნაძე, წიგნის მოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოებისა და ქართული ხელოვნების მოღვაწენი, მხატვრული კითხვის რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატები, სტუდენტები და მოსწავლეები.

ქართული ახალგაზრდული წიგნის კვირეული დაამშვენა საკავშირო პროფსაბჭოს კავშირების სახლის ოქტომბრის სახელობის სვეტებიან დარბაზსა და საკავშირო ალკკ 50-ე წლისთავის სახელობის რსფსრ ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სახელმწიფო ბიბლიოთეკაში მოწყობილმა გამოფენამ, სადაც წარმოდგენილი იყო ახალი გამოცემები და ჩვენი თეატრალური მხატვრების — სამეულის (ქოჩაკიძე, სლოვინსკი, ჩიკვაიძე), მ. ჭავჭავაძის, გ. ალექსი-მესხიშვილის, დ. ერისთავის, ვ. რურუას, თ. ნინუას, უ. იმერლიშვილის, მ. მშველიძის, გ. გუნიას, თ. მურვანიძის, ი. ყიფშიძის, რ. კონდახსაზოვის მიერ შესრულებული დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები; მოსკოველები გაეცნენ, აგრეთვე, ქართველ ხალხურ ოსტატთა ნაქსოვ, კერამიკულ და ჭედურ ნამუშევრებს.

საქართველოს დელეგაციის შეხვედრები რუს მწერლებთან, მოსკოველ ლიტერატორებთან, ჟურნალისტებთან, ახალგაზრდობასთან ოქტომბრის სახელობის დარბაზსა თუ რსფსრ მწერალთა კავშირში, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში მიღებისას, ახალგაზრდობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში თუ ლენინური კომკავშირის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის ახალგაზრდობასთან იქცა ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის, ძმობის, ერთიანობის გამოხატულებად.

ქართული ახალგაზრდული წიგნის დღეებში საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილემ ნიკოლოზ გუტოვმა, ამავე განყოფილების სექტორის გამგემ იური ბოკანმა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ილია ხუციშვილმა, სსრკ მწერალთა კავშირის მდივანმა რიმა კაზაკოვამ, გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიას“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ ინესა არტემენკომ, ჟურნალ „იუნოსტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ ანდრეი დემენტიევმა, რსფსრ ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორმა ირინე ბახმუტსკაიამ, რუსმა პოეტებმა ვლადიმერ ლუგოვოიმ, იან გოლცმანმა და ვალერი კრასნოვმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული წიგნის პროპაგანდას მოსკოვში და საერთოდ მთელ ჩვენს ქვეყანაში.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა რუსი მკითხველის ინტერესი ქართული ლიტერატურისადმი. ქართული წიგნის პროპაგანდისა და გავრცელებისათვის დიდ მუშაობას ეწევიან წიგნის მოყვარულთა საკავშირო და რესპუბლიკური საზოგადოება, ბიბლიოთეკები... ლიტერატურულ ვიქტორინაში — „ვინ უკეთ იცნობს ქართულ წიგნს, საქართველოს“ — გამარჯვებული მოსკოველი მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ქართველი მწერლების წიგნებით.

მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის სტუდენტებმა მილენა მილოვამ (ბულგარეთი), ონა მიცკევიჩიუტემ (ლიტვა), ისკანდერ იდიევმა (ტაჯიკეთი) და ნატალია სოკოლოვსკაიამ (ლენინგრადი) წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსების საკუთარი თარგმანები. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა პოეტები დიდი გულმოდგინებით სწავლობენ ქართულ ენას, ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს ეცნობიან ორიგინალში და წარმატებებს აღწევენ მთარგმნელობით მუშაობაში.

ახალგაზრდა ქართველი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებაზე მოხსენება წაიკითხა ახალგაზრდა მწერალმა და კრიტიკოსმა გივი ჩხიკვიშვილმა.

რსფსრ მწერალთა კავშირში საღამო მიეძღვნა რუსთაველისა და საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიების ლაურეატის, პოეტი-ჯარისკაცის მირზა გელოვანის ხსოვნას. უჩვენეს დოკუმენტური ფილმი მირზა გელოვანზე; ქართველმა და რუსმა პოეტებმა წაიკითხეს პოეტი-ჯარისკაცისადმი მიძღვნილი ლექსები და თარგმანები; ნიკოლოზ მიქავამ ისაუბრა მ. გელოვანის შემოქმედებაზე და წაიკითხა ნაწყვეტები საკუთარი წიგნიდან „პოეტის უკვდავება“.

მოსკოვის 65-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში ჩატარდა მკითხველთა კონფერენცია თემაზე „თანამედროვე ქართული ლიტერატურული ახალგაზრდა გმირი ნოდარ დუმბაძისა და გურამ ფანჯიკიძის ნაწარმოებთა მიხედვით“.

კვირეულის მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი, დაათვალიერეს მოსკოვის ლიტერატურული ადგილები — ტოლსტოის, რუსთაველის, პუშკინის, მაიაკოვსკის, გორკის, გოგოლის, რადიშჩევის ძეგლები და სახლ-მუზეუმები.

მოსკოვში ჩატარებულმა ქართული ახალგაზრდული წიგნის კვირეულმა ერთხელ კიდევ დაადასტურა სტუმრებიცა და მასპინძლებიც, რომ ქართულმა წიგნმა დიდი ხანია ღირსეულად გაიკვლია გზა ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი მკითხველის გულისაკენ.

(ჩვენი კორ.)

## ლიტერატურული ცხოვრება

# ი. გრიშაშვილის დაბადების 90 წლისთავი

## თვითმყოფადი ნიჭი



დემნა შენგელაია

# ახალგაზრდული კრიტიკა—79

თეიმურაზ დოიაშვილი

## ჭეშმარიტი თბილისელი

შაშვილის ლიტერატურული სალამოები, ხალხს სოსოს ლექსებთან ერთად მოსწონდა მისი კითხვის მანერაც.

რევოლუციის შემდეგ ქართულ პოეზიაში გამოჩნდნენ ახალი პოეტები, მათმა პოპულარობამ იოსებ გრიშაშვილის სახელი ერთხანს თითქოს ჩრდილში მიაყენა, მაგრამ სოსოს შემოქმედებაში თანდათანობით გამოიკვეთა ის ძირითადი, რაც დამახასიათებელი ...სებს ქართულ პოეზიას.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის დიდი ღვაწლი, რაც სოსო გრიშაშვილმა ჩვენი თეატრის ისტორიას დასდო.

ფუტკარივით მშრომელმა კაცმა ბევრი რამ დაუტოვა თავის ხალხს, რის გამოც შთამომავლობა ყოველთვის სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიებს მის სახელს.

სერგო კლდიაშვილი

# გრიშაშვილის პოეტური სამყარო

თითქოს ცოცხლად შეუნახავთ სურნელი გარდასულისა.

ეს არის გრიშაშვილის სამყარო. აქ, ამ ძველ უბნებში დაიბადა ...

ი. გრიშაშვილის პოეზია რთული და მრავალფეროვანი სამყაროა, მეტად თავისებური და საინტერესო. პოეტმა შექმნა ნამდვილი შედევრები სიყვარულის თემაზე. ასეთია კერძოდ „ჩემი ალმართი“:

ახლა შენ ჩემთან აღარ

...

და ეროვნული მოტივები. ი. გრიშაშვილის იმდროინდელ ლექსებში არაერთგზის გამოჩნდა ისეთი გადამდები ტრფიალი სამშობლო მიწისადმი, რომელიც კაცს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვება. გაიხსენეთ მისი სტრიქონები ლექსიდან „ტრიოლეტები შეითანბაზარში“. „მიყვარს თბილისი, ირაკლივით მუდამ მშფოთვარი. და მხურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს“.

... ინტერნაციონალიზმის განმტკიცების საქმეში ი. გრიშაშვილმა, როგორც პოეტმა და როგორც მკვლევარმა, მართლაც ისტორიული როლი შეასრულა.

ი. გრიშაშვილმა პირნათლად მოიხადა ვალი თავისი ხალხის წინაშე და მადლიერი სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს მის სახელს.

გიორგი ნატროშვილი

## ლექსი ცეცხლია და საოცრება

სიტყვა თუ დამინაკვერცხლდება —
ალმური დაფეთდება!
სიავე ნავა და გამეცლება,
სიკეთედ აფეთქდება!

სიტყვა თუ დამინალვერდლდება,
სიმღერა ინადიმებს;
იმ წამში სტრიქონში ჩაერთვება
ოცნება — სინამდვილე!

ლექსი თუ დამინაკვერცხლდება —
ტკივილი გამეცლება!

სიტყვა თუ გამიმხურვალდება —
სიამედ გარდიქმნება,
ოღონდაც სჭირდება ყურადღება,
ზრუნვა და დაფიქრება!

ლექსი ცეცხლია და საოცრება,
სინათლის შეკივლება,
ათასში ერთხელ თუ გამოჩნდება,
მალამოდ გეფინება.

ლექსი ცეცხლია და ელვარება
და არა ნაცარტუტა,
დაუოკებელი მღელვარება
უხილავ გაზაფხულთა.

სიტყვა თუ გაგიელვარდება —
სიმღერად გადიქცევა,
სხვაგვარი გეწვევა მღელვარება,
სხვაგვარი მაჯისცემა!

ლექსი ცეცხლია და საოცრება,
სინათლის შეკივლება...

## ისევ ოია ოიალე

ოია ოიალე,
რა გზა მოვიარე!
თავი სიბერემდე
ჩემდა უნებურად
დავითოვლიანე,
ოია ოიალე.

ოია ოიალე,
ვიყავ მხიარულიც,
ვიყავ მგლოვიარეც.
შვლებმა მომიარეს!
ჩემი ჭიანურით
რა გზა მოვიარე!
ოია ოიალე.

ოია ოიალე,
ბევრჯერ გინახივარ
მინდვრად მწოლიარე.
ვარსკვლავთ დავეძებდი
ცაში მორიალეთ.
ოია ოიალე.

ძლივსღა მივაგენი
ვარსკვლავს ბედისწერის
მივულოლიავე,
ოია ოიალე.

ოია ოიალე,
როცა გარიჟრაჟის
ცეცხლი ჩაექსოვა,
ცის ლურჯ ხალიჩაში
ცეცხლით გავიალე.
ოია ოიალე.

ოია ოიალე,
გამყევ სიბერემდე,
არც თუ შორი არი.
აღარ მომიფრინო
დილა თქორიანი
ოია ოიალე.

ოია ოიალე
ვიყავ მხიარულიც,
ვიყავ მგლოვიარეც.
წლებმა გარდასულმა
დამათოვლიანეს.
აღარ შემალღვება...
რა გზა მოვიარე
ოია ოიალე.

**რევაზ მარგიანი**

# ახალი წიგნიდან

## კანონი წუთისოფლისა

თუ გულმა შეწყვიტა აღელვება,
ელვამ — გაელვება,
დღვება თუ შეწყვიტა სადღვებელმა,
სითბო — ნაღვერდლებმა, —
სიცოცხლეს ფასი არ ექნება!

ჭუნირს თუ გაუჭირდა ჭუნირობა,
ჩანგმა — არ იჩანგა,
მდელომ თუ იგრძნო ურმობა,
ნამით არ დაიქარგა,
ეს ნიშნავს — სიცოცხლე დაიკარგა!

ჩეჩვა თუ შეწყვიტა საჩეჩელმა,
ბრუნვა — თითისტარმა,
სუნთქვა თუ შეწყვიტა საბერველმა,
ლოკვა — ცეცხლის ალმა, —
უთუოდ სიცოცხლე განელდება!
ბრუნვა თუ შეწყვიტეს დოლაბებმა,
მზე აღარ დაიფქვება,
შიშს თუ დაავიწყდა მოლანდება,
შიშად არ ჩაითვლება!
უშიშოდ სიცოცხლეც არ იქნება!

ყურშას თუ აღარ ეყეფება,
ყურშას არ ემგვანება!
ბინდის ფრთა თუ არ შეგეხება,
ვერ იგრძნობ შელამებას, —
ულამოდ სიზმარიც არ იქნება!

სკა დროზე თუ არ გაიხილა,
არ მოგვცა ტკბილი ლალა,
ეს ნიშნავს: ყვავილი არ იხილა,
ფუტკარი დაიღალა.

მეწყერმა თუ არ დაიგრგვინა,
არ შეგძრეს მეწყერებმა,
ეს ნიშნავს: სიცოცხლე გაიყინა,
მისთვის არ გეწერება!
სიცოცხლე აღარ გეფერება!

ხანდახან თუ არ გეტირება,
არ გსუსხავს სადარდელი,
ახლობლის უეცარ შეკივლებას
ნუგეშით არ დახვდები, —
სიცოცხლე არაფრად ეღირება!

თუ მუდამ ხტი და გიხარია,
სიამით გებღავლება,
შეიგრძენ: სიცოცხლე სიზმარია,
ახლოა შელამება!

ფიქრები თუ არ კამათობენ
და არვის ედავები,
ეს ნიშნავს: ზანგს ნრუპავ დამათრობელს—
მშიშრობის, გაუბედაობის
და ამით სიცოცხლე გიბერდება!

სიცოცხლეს არა აქვს დასასრული?
მუდამ არ გეცხორება?
ნელინადს ერთი აქვს გაზაფხული
და ისიც მალე გეთხოვება!

. . . . . . .

ბევრჯერ გილხენია, ბევრჯერ ჭირის ოფლით
ოცნება დაგსეტყვია, —
ასეთია კანონი წუთისოფლის,
ვაი, რომ ასეთია!

## მივიწყებულ ძველ პოეტებს

*მამის ხსოვნას ვუძღვნი*

არა, ზღვასავით
თქვენ არ ღელავდით,
არც ჩანჩქერივით
არ მჩქეფარებდით,
მაგრამ აქა-იქ
ფერად-ფერადი
შეგვანათებენ
თქვენი პწკარები.

არა, ხმლებივით
არ კაშკაშებდით,
არც არწივივით
არ გაჰყიოდით,
მაგრამ მტირალი
თქვენი ზავშვებით —
ლექსებით ქვეყნის
ბედზე ჩიოდით.

არ ელვარებდა
თქვენი მახვილი
ისე, ვით ლექსის
გოლიათების,
თქვენი ჩურჩულის
თუ მოძახილის
ქვეყნად არ იდგა
კორიანტელი,

მაგრამ ალალი
ხელით რანდავდით,
სიტყვებს ფაქიზი
ხელით ჰფერავდით —
ეს იმ დროს, როცა
ცამდე მართალი
ლექსს ხუთიოდე
ჰყავდა ბელადი.

თქვენ კი მათ ჩრდილში
ფესვებგადგმული
ისე, ვით მდელო,
მწვანედ ჰყვაოდით.
წელგამართული
თქვენი ქართული
დღეს მინდა ავრწყო
სხვა საწყაოთი.

თქვენ მამულის ხსნას
სიტყვით ცდილობდით,
არ გიცხოვრიათ
ლექსში ნებივრად
და დღესაც ჟონავს
სისხლი ჭრილობის
მოუშუშებელ
სტრიქონებიდან.

მათ ხომ ტკივილის
დამღა აჩნიათ,
მათ ხომ ცრემლი სდით,
ცრემლი მდუღარი.
შემოელებია
ლექსს შავ არშიად
თქვენი ვარამი
და საწუხარი.

თქვენ მამულის ხსნას
სიტყვით ცდილობდით,
საგულდაგულოდ
ცეცხლში ჰკვერავდით,
ეს მაშინ, როცა
ხსნის და გმირობის
ლექსს ხუთიოდე
ჰყავდა ბელადი.

## ყრმობისდროინდელი წვიმის გახსენება

წვიმას გავურბი,
ნისლი მფარავს,
საოცრად მსუსხავს.
ჩემი საუბრის
ხმა ანკარა
არ ესმის მუხნარს.

წვიმას დავცილდი,
მაინც წვიმის
წვეთები მზარავს.
ლონედაცლილი
ქარი წივის,
დავეძებ კარავს.

მთაში ვარ ბავშვი,
თქორი დგას ჰაწვალს,
ნახირი ბღავის.

იელვა მთაში,
უმალ წაწვა
ქერი და ჭვავი.

შორიდან ისმის
შურთხის სტვენა,
ჩემამდე აღწევს.
ფრიალებს ნისლი,
თეთრად ფერავს
ყვავილის ღაწვებს.

ყვავილებს სცივათ,
სანუგეშოს
რას ეტყვი ყვავილს?
მიწყნარდა წვიმა
და სველ ნეშოს
აუდის კვამლი...

გადაიკარა.
გაჩნდა ღმერთი
გამოდარების.
მზემაც იძალა
გათბა მკერდი
მზის მხურვალებით.

არც წვიმა, თქორი,
არც ფრთები ნისლის,
არც სუსხი მკაცრი.
ბალახებს შორის
ქარის ხმა ისმის,
სიმწვანეს ვარცხნის.

მას შემდეგ, შემდეგ
ამ გრძელ გზაზე
დავიარები.
და დამაქვს უბით
ნაფლეთი ღრუბლის,
იმ წვიმით სავსე
ბალღის ბწკარები.

## ვინაც მე ომში მაცილებდა...

*ნინოს*

ვინაც მე ომში მაცილებდა, იმათთაგან
მხოლოდ შენ დამრჩი;
ვიგონებ ახლა ნაღვლიან ბაქანს,
გახვეულს კვამლში.

ვინაც მე ომში მაცილებდა, იმათთაგან
შენ ერთი დამრჩი,
მოგონებები ერთმანეთში გადაიგრაგნა,
კვლავ მოვხვდი ქარში.

ვინაც მე ომში მაცილებდა, იმათთაგან
შენ ერთი შემრჩი,
რომელსაც დიდხანს თვალებს გინამქრავდა
ხსენება ქერჩის.

## ყველაფერი წამში მოხდა

ელვა გაგვიშინაურდა,
ვგრძნობდი, ღრუბლებს აურევდა,
კარგს არაფერს არ გვიქადდა
ელვის გაშინაურება!

ღრუბლიანი ცა გახლიჩა,
ძირს დასცვივდა ნაფლეთებად, —
ჯერ არ მახსოვს ცის ამგვარი,
ამნაირი აფეთქება!

ნისლებს შორის დაიკლაკნა
და ღრუბელიც დაგვიპენტა,
თვალს გვჭრიდა და კრიალებდა,
ვიდრე წვიმა გადიღებდა.

უჰ, რამდენი შესძლებია
ალქაჯების უხილავ ხელს...
ყველაფერი წამში მოხდა
არგაგონილ ქუხილამდე.

## რას იტყვის წინაპარი?

საკუთარ თავს ვემუსაიფები,
ლექსებთან წილნაყარი,
მრავალი სიმღერა ნაირფერი
მომესმის წინაპარის.

მე რა ვთქვა [illegible]
ეს არის [illegible]
შორიდან [illegible] ვარსკვლავები,
მზადა [illegible]

საკუთარ თავს ვემუსაიფები
და თითქმის შემათენდა,
აავსო ვეება სეიფები
მგოსანთა შემართებამ!

საკუთარ თავს ვემუსაიფები,
თავს მადგას წინაპარი,
ძნელია ვიპოვო ნაირფერი
ლალი და მინანქარი.

ისე ვით რაინდთან — რაინდები,
ფუტკრებთან — მეფუტკრენი,
საკუთარ თავს ვემუსაიფები,
საკუთარ ლექსს ვებუტები.

საკუთარ თავს ვუნაღვლიანდები,
სიმძაფრე ავიცერი.
— იჩქარე, იჩქარე, გვიანდები! —
შემძახის კალმის წვერი.

საკუთარ თავს ვემუსაიფები,
ლექსებთან წილნაყარი,
სამსჯავროს მოველი გარინდებით, —
რას იტყვის წინაპარი?!

## სიმღერა რწმენის და იმედისა

რამდენი ჭრილობა მომიშუშდა, —
ოდესმე გამიხსენებს!
რამდენი ვარამი მომიქუჩდა,
წვიმებმა დამისველეს;

რამდენი ოცნება უანგარო
ხელთ მეპყრა თაიგულად;
რამდენი სიმღერის სიანკარე
ამღერა, დაითრგუნა;

რამდენი წყენა და გაოგნება
სისხლ-ძარღვში გაისუსა;
რამდენი თრთოლვა და საოცრება
სიმწრისგან დაისუსხა;

რამდენმა სიავემ, ბოროტებამ
ჩემს თავზე იმეჯლისა...
გადავრჩი. სიმღერა ბოლოვდება,
სიმღერა — რწმენის და იმედისა!

## ჩემი სამოცი წელიწადი

სიზმარ-ცხადი იყო, სიზმარ-ცხადი
ჩემი სამოცი წელიწადი,
რაც ბალღმა განვიცადე,
რაც ყრმობამ გამინალდა
და რასაც დღემდე ვინახავდი.

სიზმარ-ცხადი იყო ბალღობისდროინდელი
ექვსიოდ-შვიდიოდ წელიწადი,
მაშინ ვთქვი, ლექსად ვთქვი მორიდებით
ჩემი სიყვარული დედისადმი.

სიზმარ-ცხადი იყო ჩემი სიჭაბუკე,
ის ჩქარი ათიოდ წელიწადი,
მაშინ ვიელვე და ვიქარბუქე
და სხვის მორჩილებას ვერ ვიტანდი.

სიზმარ-ცხადი იყო ომში გაბოლილი
ჩემი ბედისწერის ლანდი,
სიზმარ-ცხადი იყო გრიგალს აყოლილი
ტკბილ-მწარე ბევრი წელიწადი.

სიზმარ-ცხადი იყო მამის მოლანდება,
ჩემი მორჩილება ბედისადმი,
ლექსად დამყვებოდა შენი მონატრება
თითქმის ორმოცი წელიწადი.

სიზმარ-ცხადი იყო, რასაც ვბუბუნებდი,
ეს იყო სიზმარ-ცხადი —
დღემდე რაც მოვიტანე რუდუნებით
და რასაც გულში ვინახავდი...

სიზმარ-ცხადი იყო, სიზმარ-ცხადი —
ჩემი სამოცი წელიწადი...

---

**კარლო კობერიძე**

# წისქვილი

*წიგნიდან: „დაკარგული არდადეგები“*

მარტო ჩემი სოფელი რა სათქმელია, ახლომახლოც არავინ მოიძებნებოდა, მიზანში ისე მარჯვედ, ზუსტად მოეხვედრებინა გუნდა, მე რომ ვარტყამდი. ჩამომჯურიდა თოვლსა და მოსვენება აღარ მქონდა: ხან მუქარით — წაგითაქებთო, ხან დაპირებით — ბედსა გწევთო, სალაყბოზე გამიყვანდნენ დიდი ბიჭები, მომამარაგებდნენ გუნდებით, გამოივლიდა ვინმე და, სასეიროდ თუ ჯავრის ამოსაყრელად, მეტყოდნენ:

— აბა, ერთი, შენებურად აზიარე!

— სად დავაბეჭდო?

მომცემდნენ მისამართს. მეც გავუქანებდი და სწორედ იქ ჩამოვაშლიდი გუნდას, სადაც სიცილი თუ სამაგიერო მოითხოვდა. მაშინვე ჩამომეფარებოდნენ. არ ჩამომეფარებოდნენ და, ისე არხეინად ავაბაკუნებდი ფეხებს, ან ისე გავიზლაზნ-გამოვიზლაზნებოდი, ვითომ ჩემთვის არც თოვლი იყო, არც გუნდა. მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, ასე ვინც აზუზუნებდა მზრალსა თუ გაყინულ თოვლს. უფრო სკოლიდან მონადენი, გასათხოვრად შეღერებული გოგოები იყვნენ შავ დღეში; დიდ ბიჭებში ჩამდგარს დამინახავდნენ, ჩერდებოდნენ შორიახლო და ერთმანეთს ელოდნენ. ათიოდე შეიყრიდა თავსა და, მერე, გოგოებს რომ არ ეკადრებათ — აწყვეტილი სირბილით დაეშვებოდნენ თავქვე... ყველას ველარ, მაგრამ ნახევარს მაინც ავუწყვავდი ხოლმე ახაწვავს. მეორე დღეს კი, სკოლაში, გაგიხარია, მიჩაჩუნებდნენ თავში! მეც ხუმრობაში ვატარებდი — დანაშაული გასაქანს აღარ მაძლევდა, დირექტორის გასაგონად გამება ღრიალი.

წესად მქონდა: დედაჩემის ხნისას არაფრით არ ვესროდი გუნდას, არც დედაჩემის ხნისას და არც მოხუცებს. ამაზე ადრევე ვიყავით შეთანხმებულები და აღარც არაფერს მეუბნებოდნენ ბიჭები. ეს უბრალო, ნათელი წესი არასოდეს დამირღვევია, საამისო მოწმეც ბევრი მყავდა: ამვლელ-ჩამომვლელი, მყუდროზე გამოფენილი თუ ფანჯრებიდან მაყურებელი ხალხი... პირველ გაკვეთილზევე მასწავლეს, უფროსი ძმისი უფროსია, პატივი უნდა ვცეთო. მადლობის მეტი რა მეთქმოდა, ოღონდ, მაშინ უკვე ზეპირად ვიცოდი ეს ცხოვრებაში ყველაზე გამოსადეგი, ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი — ამ საგნის მასწავლებლები, იცოცხლე, არც შინ მაკლდნენ! მაგრამ სკოლაში სწავლას ვამჯობინებდი მაინც, რაკი იქ, ყურების აჩევასა და გარეთ გაპანღურებაზე რა მოგახსენოთ, მაშინ, მაშის ან ციცხვის თავში ჩაცეცხლება არ იყო მოდაში.

უფროსებს პატივი უნდა ვცეთო? კეთილი და პატიოსანი, მაგრამ პატარას, პატივისცემა ჯანდაბას, მოფერება მაინც ხომ უნდა? თუმცა პატივისცემა და მოფერება, მე რატომღაც, ერთი და იგივე მგონია. თუ ერთი და იგივე არ არის, არც მაინცდამაინც ეშორიშორებათ ერთმანეთი. ვიტყოდი რამეს და, ჯერ ნაგზაურის ბალახს არ აცილებიხარ, შენ რა იციო. ვინ მისმენდა, თორემ რა აღარ ვიცოდი: ობლობა, სიღარიბე, დარდი და, რაც მთავარია, დაუმსახურებელი წყენის ვარამი.

სწორედ ერთი წყენა მახსენდება ახლა და ისევ იმგვარი უკეთურობით მანჯღრევს, როგორც მაშინ შემანჯღრია, იმ თოვლჭყაპიან დღეს: მხარზე ნაკრაულა მეკიდა და თავდაღუნული მოვიკაკვებოდი წვრილიანის ბილიკზე. ჯერ რა ვიყავი და ჯავრმა უარესად დამაპატარავა. შინ კი, შინ ორი მწოლიარე ავადმყოფი მელოდა — დედაჩემი და ბებია. მაშინ იყო, ცრემლები მომაწვა, არავინ დამინახოს-მეთქი, ქუდი მოვიხადე, თვალებზე მოვისვი, ნაკრაულა მოვიქნიე, სველ მიწაზე დავახეთქე, მეც სველ მიწაზე დავჯექი და ავტირდი.

მანამდე კი, აი, რა მოხდა:

მზიანი კვირა დღეა. იმ ხანებში ბარაქიანად ჩამობარდნა და ისევ ბარაქიანად დევს თოვლი. სითბომ ხეები უკვე გააშიშვლა, რუებიც წამოშალა და სახლებზეც აქა-იქ გამოჩნდა კრამიტი. მზემ ზლაპრებით, წვრილფეხობითა და დედაკაცების ბუზღუნით თავშებეზრებული კაცები ზმორებ-ზმორებით გამოიყვანა გარეთ, დგანან ახლა მაღაზიის წინ — სალაყბოზე, და ქვეყნის ჭირ-ვარამს არჩევენ. ხნიერები ოკრობოკროდ ჩავლილ წლებს ალვიძებენ, ახალგაზრდები კიდევ ერთანეთს ქურდულად ესვრიან გუნდას და სიცილის სხვა მიზეზს ესეც ემატება. გზაზე ამვლელ-ჩამომვლელი რომ გამოჩნდეს ვინმე, წასულია მისი საქმე, უბედურად გააბუებენ. მაგრამ არავინ ჩანს ჯერჯერობით და, მოწყენას პატრონი დაევსოსო, ისევ ერთმანეთს შეახტუნებენ ხოლმე.

მეველის ეზოდან რეზო მასწავლებელი გამოვიდა და ფეხსაცმელებს უფრთხილდება: გზა-გზა კი არ მოუყვება თავქვე, ლობე-ლობე მოახრაშუნებს თოვლს. პატარა ბიჭები ცალკე ვდგავართ და გასუსულები ველოდებით, ვნახოთ, ერთი, გუნდის სროლას თუ ჰკადრებენ.

არ ესროლეს და არც გაგვკვირვებია.

მოახლოვდა რეზო მასწავლებელი და ღიმილით თქვა:

— წუხელ მგელას ბიჭი ოთია დაბრუნებულა ომიდან.

— დაჭრილი იქნება.

— ასეა: ყავარჯნები ჩამოიყოლაო.

— მაგის მამას დარდიან გულზეც არ აკლდა მადა და ახლა გაფუფქული ვირი არ ეყოფა! — ოქროს კბილის ხათრით გვერდულად იცინის კოჭლი გიო მჭედელი. ესეც ჯარში იყო, კავალერიაში, მაგრამ მტერმა კი არ გაუშეშა ფეხი, ცხენმა გადმოაგდო და ცხენების დასაფიცად გამოისტუმრა შინ, — ეგ დაბდური თუ გადაურჩებოდა სხვათა მიწის გასუქებას, ამას ნამდვილად არ მოველოდი!

— რას გაიგებ ბედისას! — თავს აქნევს გიო კალატოზი, — დაუგუბებელი წყალივით მოუსვენარი კიდევ ჩემი ძმა იყო, საწყალი და, პირველ შეტაკებაშივე კი დაიღუპა.

ყველანი ერთბაშად დაღონდებიან. რეზო მასწავლებელიც თავდაღუნული მიახრაშუნებს ლოდე-ლობე ადევნებულ, გაუტკეპნავ თოვლს.

ცხოვრება მაინც ცხოვრებაა და, სადარდელიც მალე ავიწყდება სალაყბოზე ჩაგუბებულ ხალხს: ისევ ქურდულად, სიცილ-კირკილით ესვრიან გუნდას ერთმანეთს. მერე უცებ ჩუმდებიან — ქვეიდან ყრუ თომა მოდის. გაქუცული ცხენი შეუკაზმავს, უნაგირზე ტომარა დაუკრავს და იმას მოუძღვება წინ. საზიარო წისქვილში მიედინება.

მაღალი კაცია თომა, აწლიოკებული, როგორც ამბობენ. გაურკვეველი ასაკისაა: ხან იტყვის სამოცისა ვარო, ხან — ორმოცდათხუთმეტისაო, ხანაც სამოცდახუთზე ავარდება ხოლმე. ნათლობის წიგნები ცეცხლში გადაუძახეს და საიდან რაღას დაადგენ!.. შენ ისა თქვი, რა აღარ ემარჯვება თომას: მჭედლობა გინდა, ნალბანდობა, ურმის შეკვრა, ქვევრების მოხიზვა, ტრაქტორის შიგნეულობა, სალეწისა თუ ათასი ოხრობისა, მარტო მიუშვი და შენ შორიდან უყურე — ოქრო ელვრება ხელიდან. მარჯვენა ნეკი აქვს გაფშეკილი — ბელლის კარებში მოჰყოლია პატარაობისას — ვინმეს რომ ელაპარაკება, გეგონება ის გაფშეკილი თითი მუცელში უნდა ატაკოსო. რაკი ყრუა, სხვასაც აყვირებს და თვითონაც ისეთი წიკვინა ხმითა ყვირის, სიცილით იხოცებიან ბალღები. მაგრამ რას აღარ ეჩვევა თვალ-ყური!

თომა გაჩერდა და ცხენიც გააჩერა:

— მოგიცლიათ!

— საით მიასაცოდავებ ამ შენსავით გადაყრუებულ ცხენსა? — ეკითხება გიო მჭედელი.

— რაო? — ყური მიუშვირა თომამ.

— საით გაგიწევვია-მეთქი?

— წისქვილში მივბრძანდები. ჩემი დედაკაცი თავისი შინაბერა დისწულის ქორწილში წაეთრია და, შენი ჯერია, წაიღე სიმინდი და ჩამოფქვიო.

— აკი მიხას ჯერიაო?

— დღეს ორშაბათი არ არის?

— რას ამბობ, კაცო, კვირაა!

— ჰოო, მართლა იმისი ჯერი არა ყოფილა?! — თვითონაც გაეცინა, — რაკი თავზე ხელი ავიღე და გამოველ შინიდან, ბარემ ავალ და ავაშავებ საფქვავს.

— მარჯვედ მოგიფიქრებია!

— რაო? — თომამ ისევ მიუშვირა ყური.

— სულადსაც აიტან და მიხასაც ნახავ-მეთქი!

— ეგ ხო ეგრე იქნება!

სხვაგნებური იყო მიხა, მგონი — გალმელი. სტუმრად გამოვიდა ჩვენს სოფელში, შიო ხელაშვილთან; ერთად ყოფილიყვნენ თათრის ჩხუბში, მერე გერმანელებსაც ერთად წაეკიდნენ თურმე და, იმდენი მოახერხეს, ტყვეთა ბანაკში ამოყვეს თავი... ესა თქვეს, ისა თქვეს, დაიქანცნენ ძველის გახსენებით და ბოლოს სახლობის სადღეგრძელოზე რომ მიდგა ჯერი, მიხას ამოეხრა, მესამე წელია, დედაკაცი სიკვდილმა წამართვაო... მეორე დღეს უბედურად გააბრაზა შიო: ხუმრობითაც არაფერი ჰკითხა, თვითონვე გაირიგა მისი კარის მეზობელი მარო ესეშვილი. მაროს აღარც კი ახსოვდა, როდის გამოეცალა ქმარი ხელიდან. ხმამაღლაც ამბობდნენ დიდები, ცხონებულმა, მალე გაასწროო, რაკი ეს უხსოვარ დროს დაქვრივებული დედაკაცი ყოველ ახალ მთვარეზე ურევდა: კაცებისთვისაც ყურმოსარიდებელი ერთი აქოთებული ლექსი ჰქონდა აკვიატებული, სულ იმას მღეროდა, თან ფეხშიშველა ცეკვავდა, ხელების უშნოდ ქნევასა და ფეხების ატაბატა ხლართვას თუ ცეკვა ჰქვია. ასე დადიოდა ეზო-ეზო და უბან-უბან. მაშინ საქებარის გარდა სხვა სიტყვა არ უნდა დაგეძრა, თორემ ისე უცნაურად შეგიკურთხებდა, შენი დღე და მოსწრება გინების მეტი არაფერი გაკეთებინა, ისეთ რამეს ვერაფრით ვერ მოიფიქრებდი. ბალღებს რა გვიჭირდა, სიამოვნებს კიდევაცო — წყალს მივასხამდით ხოლმე, დიდები ვარდებოდნენ გასაჭირში; დაინახავდნენ მაროს, ყურებში ბამბას გაიკეთებდნენ და, სადაც მოახერხებდნენ, იქ იმალებოდნენ ვაი-ვიშით.

მიხომ მთვარის ავსების დღეებში გაიცნო ბალიშის მომავალი მოზიარე. ამ დროს კი ისეთი დალაგებული ლაპარაკი იცოდა მარომ, მიხას კი არა, ვის აღარ მოაწონებდა თავს. წაიჩურჩულ-წამოიჩურჩულეს, მერე წავიდა მიხა და სწორზე თავისი ავლადიდებით გამოცხადდა დანიშნულთან: ერთი დაქირავებული ურმით დაფქულ-დაუფქავი ხორბალი გამოიტანა, მეორეთი წისქვილის მოწყობილობა: დოლაბები, ხვიმირა, კრიჭა, ღარი — ყველაფერი, ერთი ნაცარა სახედარი და ერთიც შვილი, თვალებაჟუჟუნებული ოციოდე წლის გოგო, რომელსაც აგრეთვე მარო ერქვა.

მალე გადაბრუნდა მთვარე და, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალ მთვარეზე გონებაც ისევ გადაუბრუნდა პატარძალს. მეზობლებმა ყურებიდან ბამბა გამოიღეს, ვნახოთ რა მოხდებაო. მართლაც სოფლის სალაპარაკო ამბავი დატრიალდა: მეღორული სიმღერით ჩამოუარა დედოფალმა, ქმარმა და გერმა ტაში დასცხეს, ხმაც მშვენივრად შეუწყეს და ის ოჯახიც დალაგდა, უბანიც. როგორც ეტყობოდა, ჩვენი ახალი მეზობლებისთვის უცხო არ იყო მთვარეს ადევნებული თუ, საერთოდ, შერეკილი ხალხი. ქალაქებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ სოფელი კი ნამდვილად ჰგავს სოფელს ეზოებით, ორღობეებით, გასადევარით, ველ-მინდვრებით, საუბნო გზებით, სალაყბოებით... სხვა რამითაც.

გაიგო მოჩალიჩე ხალხმა, მარო ესეშვილის ქმარმა დოლაბები გამოიტანაო, მივიდნენ, გაეცნენ, შეთავაზეს — წისქვილი ჩავდგათო. აბა, დასამწნილებლად კი არ მიყიდიაო.

ჩვენი მღვრიე ხევი ზაფხულზე მაშინაც ისე დაშრებოდა ხოლმე, თავკომბალების ბუდეც აღარსად იყო. გაზაფხულზე, შემოდგომასა და თბილ ზამთარში ადიდება იცოდა, ადიდება, წისქვილი რა სათქმელია, სოფელზე მიგეგდოთ, სახლებს ააგორებდა! სამი თვეც არაფერიაო: ოთხნი დაძმობილდნენ და გაუდგნენ გზას: მიდგნენ-მოდგნენ, ხე-ფიცარი იშოვნეს, კლდე-კლდე მინდორზე გამოიყვანეს ხევის წყალი და სასაფლაოს ჩასწრივ წისქვილი ჩადგეს.

ქვებიც პატარა იყო და წისქვილიც. ამ ოთხი ოჯახის სარჩო, მათი ნათესავებისა, საჭირო და გამოსადეგი ხალხისა — დანარჩენების ჯერისთვის დრო აღარ რჩებოდა და აღარც წყალსა კითხულობდნენ.

ოთხიდან ამ წისქვილის პატრონი ერთი ყრუ თომა იყო...

თომამ სალაყბოს მოატარა თვალი და იკითხა:

— არ წავიდე?

— ვინ გიჭერს? - ჰკითხა გიო კალატოზმა.

— რო არ მეთმო? ი?.. წავალ და ამაღამაც იქ დავრჩები: შეშა არ გვაკლია, პური და ღვინო!.. თუ არ დაიზარებ, ამოიარე და მინახულე! — ალვირი დაიგრძელა და წინ გაუძღვა ცხენს. ორიოდე ნაბიჯიც არ გადაედგა, დაგვალულმა იაგორამ კარგა შორის მანძილიდან ესროლა გუნდა, კოსროში მოარტყა და თუშური ქუდი არ მოაძრო თავიდან?!. იაგორას კომისარი ბიძისთვის რომ გეკითხათ, თვალები უტყუის, ხელის გაწვდენის მანძილზე კამეჩს ვერა ხედავს და ომში რა უნდაო.

თომა დაიხარა, აიღო ქუდი და მიიხედ-მოიხედა.

იაგორა ჩემკენ მოტრიალდა, თომამ დაინახოსო, ხელებს მისავსავებს:

— სკოლაში ვინ მიგიღო, ნახირში არა ხარ შესაშვები, ბერიკაცის მორიდება არა გაქვს! ერთი მე ავალ მთვარეზე და მეორე — შენ ააშენებ ქვეყანას!

გავფითრდი:

— ტალახში შენ ჩაუგდე ქუდი და, მე მაბრალებს?!

— აი, ყველამ დაგინახა... ენაც არ წაიგრძელა! ცინგლიანი!

ის ყველანი კი იგუდებიან სიცილით.

თომამ ქუდი ხელზე დაიფერთხა, დაიხურა და ქვეშ-ქვეშ გამომხედა:

— შენი გვარ-ჯიშისას ეგეთი რამე არ ეკადრება!

ამან მთლად გადამრია:

— რას იცინით!.. თქვენ ხო დაინახეთ, მე არ მისვრია! — დიდებს ვეუბნები, ისინი კი უფრო უმატებენ სიცილს.

დაგვალული იაგორაც ისევ მისავსავებს ხელებს:

— ღმერთმა დაგვიფაროს, გაიზარდო — ქვეყანას გადაჭამ!

— არ მოიყარე ჩემი სწორი! — უვირის თომა და ალმა აბრუნებს თავქვე გაწეულ ცხენს.

მივვარდი თომასთან, ხელები მივუშვირე:

— აი, გუნდა რომ მჭეროდა, სველი არ მექნებოდა? — დაკონკილი პალტოს ჯიბეებიც ამოვიბრუნე, შარვლისაც, — სამი წელია, ხელთათმანები არ მღირსებია!..

ხელებზე არც დამხედა:

— შენ მომხადე ქუდი!

— მე კი არა, ეგე, იაგორამ გაგიმეტა!

— ის ბრუციანი ეგრე მარჯვედ ვერ მომარტყამდა!

— თომა პაპავ!..

მაგრამ დამთავრება არ მაცალა:

— მომწყდი თავიდან!.. ბალღი ხარ თუ ნადირი, ამდროულა კაცს გუნდას რომ მიზუზუნებ!.. ჯერ არა ვკვდები და, არც იგრე დავჯანდაგებულვარ, გწყუროდეს და წყალი ვერ მოგაწოდო!..

წავიდა და წავყევი: რამდენი არ ვეხვეწე, რა არ დავიფიცე, დამიჯერე, გუნდა მე არ მისვრია-მეთქი, ვერაფრით ვერ მივატანინე გულთან. ბოლოს უარესად გაბრაზდა — ხელი მომიქნია. დარტყმა კი ავიცდინე, მაგრამ იმ ვარამს ვეღარ გადავურჩი, რასაც დაუმსახურებელი სასჯელი ჰქვია.

ვიდრე ცრემლებით შეშუპებული თვალები არ დამიცხრა, მანამდე არ მივსულვარ შინ, არც არაფერი მითქვამს, ვიცოდი, ვერც დედაჩემს დავაჯერებდი სიმართლეს და ახლა უკვე ვეღარც გამეტებით მოქნეულ ხელს ავიცდენდი...

ზამთარი რომ გატყდა და თოვლ-ჭყაპმა მოუხშირა, დედაჩემი და ბებია თითქმის ერთდროულად გახდნენ ავად: ორმოც გრადუსამდე აუწიათ სიცხემ. გავვარდი და ალექსანდრე ექიმი მოვიყვანე. გასინჯა ექიმმა ავადმყოფები და თქვა, სითბო, ნორმალური კვება და წამალია საჭიროო. მაგრამ სად იყო ან სითბო, ან საჭმელი, ან წამალი? ჩემი ზურგით მოზიდული შეშა საცაა გათავდებოდა, თუმცა ეს იმდენი არაფერი — შაბათს აღარ წავიდოდი სკოლაში, ზედ კვირაც მოჰყვებოდა, ჰოდა, იმდენ გზობა სათარს ჩამოვიტანდი, ბარე ათ დღეს გაგვყვებოდა სიმშვიდედ. წამალი, მადლი მოისხა და, თვითონ ექიმმა დაგვიტოვა—წინა ორ წელს ჩვენი მდგმური იყო და, ეტყობა, რაღაც სიკეთე ახსოვდა ჩვენგან. დიდად აი, მჭადი მაწვებოდა, მჭადი და მჭადის ფქვილი. რაც დაფქული გვქონდა, იმით სანახევროდაც გვეშიმშილა, სამ დღესაც ძლივს გავიდოდით იოლას. არ იფიქროთ, შიმშილისა მეშინოდა! შიმშილიო? იმდენჯერ მეშიმშილა მანამდე, მოხდებოდა და მამაპაპურად რომ დავნაყრდებოდი ხოლმე, მგონი ის უფრო მეუცხოვებოდა. გულზე შემოსაყრელი სხვა იყო — მარტო ვიყავი უკვე, მთლად მარტო და თან ორი ავადმყოფიც მებარა. კი არ მეგონა, ასე იყო: მაშინ, ყველას თუ არა, უმეტესობას მაინც დღიდან დღემდე საკუთარი თავის გატანა უჭირდა, სხვისთვისაც რომ გაემართა ხელი, არც საამისო ღონე ჰქონდა და, რა თქმა უნდა, არც ხალისი... ერთიც ვნახოთ, მთელი კვირა ვერ ამდგარიყვნენ, მაშინ? მაშინ, ალბათ, ჩემი სტუდენტი დები სწავლას მიატოვებდნენ, მარტო ავადმყოფების მისახედად კი არა, პურისა და ტანსაცმლის მიმწოდებელი აღარავინ ეყოლებოდათ და, იმიტომ. ამისი უბრალო გაფიქრებაც მზარავდა, ანუ მომავლის იმედიც იკარგებოდა, ამით... თავი ულონოდ, უსუსურად, უპატრონოდ ვიგრძენი... სკოლაში ისევ დავდიოდი. თუმცა ასეთ წასვლას წაუსვლელობა მერჩივნა: ტყუილად ვიჯექი მერხზე, არც გაკვეთილები ვიცოდი, არც სხვების მოსასმენად მანთავისუფლებდა უჟმური ფიქრი, დარდი, ჯავრი, ნისლში ჩაკარგული მომავალი.

მესამე დღეს, დილით ცოტა მოიხედა დედაჩემმა, რაცრაცით წამოდგა, გაიარ-გამოიარა ოთახში, კუთხეში მიდგმულ ხის გოდორში ჩახედა და მითხრა:

— დღეს ვერ წახვალ სკოლაში.

ილლიაში ამოჩრილი წიგნები ისევ მაგიდაზე დავყარე.

— შინ რაღა უნდა გააკეთოს? — ჰკითხა ბებიამ.

— ექვსიოდე კილოდა გამოვა სიმინდი, წისქვილში უნდა წაიღოს. შემეძლოს, მარტო არ გავუშვებდი.

(დასასრული მე-4 გვ.)

სულ მალე ქართული პოეზიის მოყვარულები კარგ საჩუქარს მიიღებენ, გამოჩენილი პოეტის — იოსებ გრიშაშვილის საიუბილეოდ ორი ახალი კრებული მომზადდა.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" ამ დღეებში მკითხველებს მიაწვდის პოეტის თხზულებათა ხუთტომეულის პირველ ტომს. წიგნი ლამაზადაა გაფორმებული პოეტის საყვარელი ძველი თბილისის პეიზაჟებით (მხატვარი თენგიზ სამსონაძე).

ტომის რედაქტორები არიან აკაკი ხინთიბიძე და გიორგი მერკვილაძე, სარედაქციო კოლეგიაში შედიან ალ. ბარამიძე, ს. ყუბანეიშვილი, გ. ციციშვილი, ს. ხუციშვილი, ვ. ჭავახაძე, გ. ჯიბლაძე. წიგნი გამოსაცემად მოამზადეს და შენიშვნები დაურთეს რ. კუსრაშვილმა და ლ. მეგრელიშვილმა, გამომცემლობის რედაქტორია ირ. არაბული.

ახალი გამოცემა შესრულებულია ავტორის უკანასკნელი ნებასურვილის გათვალისწინებით. დიდი გულისყურითა და სიყვარულით შედგენილი ეს კრებული, თანამედროვე მკითხველს კიდევ ერთხელ გაახსენებს სახალხო მგოსნის სიჭაბუკის დროინდელ პოეზიას.

●

გამომცემლობა „მერანმა" ი. გრიშაშვილის საიუბილეოდ რუსულ ენაზე გამოსცა პოეტის მცირე კრებული, რომელიც შეადგინა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ.

კრებულში შესული ლექსების თარგმანები შესრულებულია ცნობილი საბჭოთა პოეტების ა. ახმატოვას, ვ. გაფრინდაშვილის, ს. გოროდეცკის, ო. მანდელშტამის, ა. მეჟიროვის, ბ. პასტერნაკის, დ. სამოილოვის, ა. ტარკოვსკის და ნ. ტიხონოვის მიერ.

კრებული ორი განყოფილებისაგან შედგება: „სხვადასხვა წლების ლექსები" და „პატარა მეგობრებს"; დართული აქვს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

რედაქტორია მ. ქურდიანი, მხატვარი — ა. თოდრია.

კრებული იხსნება თბილისური პეიზაჟებით და მხატვარ ვ. კროტკოვის მიერ 1957 წელს შესრულებული იოსებ გრიშაშვილის პორტრეტით.

იოსებ გრიშაშვილი



თხზულებანი

## იოსებ გრიშაშვილის საიუბილეოდ გამოიცა




# წისქვილი

(დასასრული)

— სად, რძალო, კონდოლში?

— ჩვენი სოფლის წისქვილში.

შემაკანკალა: ოღონდ ეს არ ეთქვა, ოღონდ ეს არ გამეგონა!..

— ახლავე წაიღე, შვილო.

— რომ არ დამიფქვან? — შეშინებული მივაჩერდი.

— თავი შეაცოდე, შვილო; უთხარი, რა ყოფაშიცა ვართ და იქნებ აღარ დაიუარონ.

— ვითომ არ იცი, რა ხალხია მეწისქვილეები!

— ერთნაირი ქვაც არა გდია ხევზე და, დავიჯერო, ეგენი დაემსგავსნენ ერთმანეთს? — ღუმელს ხელები მიუშვირა დედაჩემმა და მომაჩერდა, — გეძნელება, შვილო, მაგრამ უნდა აიტანო... ქვეყანას ეპატიოს, შვილო, შენი ჩამწარებული ბავშვობა! მეც მაპატიე, შვილო! — თავზე ხელები მოიჭირა და ფანჯრისკენ შეტრიალდა.

— კარგი, ერთი! — ხელი ავიქნიე, — მარტო მე ხომ არა ვარ ამ დღეში! — კამოდის უჯრიდან ტომარა ამოვიღე (იქ შესანახი ტანსაცმელი აღარა გვქონდა და სხვა რაღას ჩავდებდით), აივანზე გაველ, წესიაო — დავფერთხე, ისევ შემოვბრუნდი: ხის გოდრიდან, ჯერ ორჯამიანით, მერე პეშვით ამოვიღე სიმინდი, ტომარას ნაწიბურით მოვაკარ პირი და პალტოც მაშინვე ჩავიცვი, — წავალ ბარემ! — დაფიქრებისა მეშინოდა და უცებ გავიწიე წასასვლელად.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — დამლოცა ბებიამ.

— ფრთხილად იარე, შვილო, — ნაკრაულას რომ დავწვდი, ხელი შემაშველა დედაჩემმა, — ხომ არ გემძიმება, შვილო?

— აქ რა არის!..

შემეძლო გზა გამემრუდებინა; გზა და დრო მაინცადამაინც საზარალოდ არ მიგრძელდებოდა, მაგრამ, სირცხვილი რას მიქვია, თავზე ჭერი მენგრევა-მეთქი, სკოლის ეზოზე ავიარე, ზედ ჩემი საკლასო ოთახის გვერდით. გაკვეთილი სულ ახალი დაწყებული იყო, ვხედავდი: დაგვიანებული მოსწავლეები ხეხვით მორბოდნენ სკოლისკენ.

ვარო [illegible]ლებელმა ფანჯარა გამოაღო:

— სად მიხვალ, კახა?

გავჩერდი:

— წისქვილში, მასწავლებელო.

— თქვენები როგორ არიან?

— ცოტა კარგად.

— ხვალ მოხვალ?

— არ ვიცი, რა ვიცი, როგორ დავბრუნდები წისქვილიდან.

— კარგი, წადი, — ფანჯარა მოხურა...

წავედი კი არა, გავფრინდი: თავი არ დავზოგე და მალეც დავიღალე. ჰაერი აღარ მყოფნის და მაინც ვღილინებ, არ მინდა მოვეშვა, ფიქრებს დავნებდე, თორემ ყუყუმანის ეშმაკი გადამიდგება წინ და ვაითუ უკან გამომაბრუნოს.

სასაფლაო რომ გადავიარე და დაბლა, ხევის პირზე, ლეგადავლილ ჭაგრიხილებთან ჩამუქღრობული კრამიტით დახურული წისქვილიც გამოჩნდა, მაშინ კი ვინანე წამოსვლა. მაგრამ ღილინი გავიხსენე ისევ და სიბილით დავეშვი წერილთან[illegible] ბილიკზე. მანამდე მივრბოდი, ვიდრე წისქვილის კარს არ მივადექი. შიგნიდან სარეკლას რაკა-რუკი მესმოდა, სარეკლას რაკა-რუკი და დოლაბების ხიხინი.

კარი შევაღე, შევიხედე და, სუნთქვაც შემეკრა — რისიც მეშინოდა, აკი არ ამცდა: ჭინთან თომა პაპა წაბრილიყო და ფქვილს თითებით სრესდა — წმინდა ჩამოდის თუ იღერღება. სხვა არავინ იყო წისქვილში... კარის ჭრიალს ვერ გაიგებდა თომა, ალბათ, წივამა გამკრა და იმან შემოხედა. ერთი კი შემავლო თვალი, მერე ფქვილიანი ხელები ჯინზე ჩამოერტყა, გაილიმა და თავით მანიშნა, შემოდიო. შევედი. ნაკრაულა მოვიხსენი, ფქვილით გაზრილ საცალოზე დავდე და თომას დავხედე: უშნოდ მიბრეცილ-მობრეცილ ღუმელს მაშას ურუხუნებდა, თავი აწია, ისევ გაიღიმა და ახლა კუნძზე მანიშნა, დაჯექიო, თვითონ მეორე კუნძზე, დაჯდა და, როგორც სჩვეოდა, ისე, ყვირილით მკითხა:

— როგორაა გუნდაობის საქმე?

— აკი მაშინაც გითხარი, სხვამ გისროლა-მეთქი!

— გამოტყდი და დაგიჯერებ!

— იქ რომ იყვნენ, ისინი გეტყვიან, ვინც მოგაძრო ქუდი! ჩავლილი ამბავია და აღარ დაგიმალავენ!..

— იმით რათ უნდა ვკითხო, შენ აქ არა ხარ?

— აქა ვარ და გეუბნები, მე არ მისვრია-მეთქი!

ნაკრაულას მიაჩერდა:

— ძალიან გიჭირთ?

— ჰო, დედაც ავადა მყავს, ბებიაც; ჩემს იმედზეღა არიან!

— აიღე ნაკრაულა და წადი! ეს გაჭირვება უფრო დაგამახსოვრებს შენს აკვიცობას! — წამოდგა, ნაკრაულას დასწვდა და მომაწოდა. — უკანმოუხედავად წადი!

— რატომ არ მიჯერებ, კაცო!

პალტოს საყელოში დამწვდა, კუნძიდან წამომაგდო: ჯერ ნაკრაულა გაისროლა გარეთ, მერე მე გამომაგდო კინწისკვრით.

მუხლის კვრისტავები ჩავიფხრიწე, ნაკრაულა ავიღე და წისქვილის დაკეტილ კარს მივაჩერდი.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვუყურებდი, ფიქრმა დამაკარგვინა დროის შეგრძნება. ფიქრით კი რაზე აღარ ვფიქრობდი, მაგრამ გახსენება არ ღირს, ეხეც არ იყოს, ცოტა უადგილოდაც მეჩვენება.

ღარში დაშვებულმა წყლის ხმაურმა გამომიყვანა ფიქრიდან. წისქვილის კარს თვალი მოვარიდე და მერე დავინახე: თურმე თოვლ-ჭყაპს დაენისლა გარემო. და მაშინ (ჩემი ხიჯლაზე უნდა გითხრათ), გული დამწყდა, ის მადლიანი გუნდა ჩემი ნასროლი რომ არ იყო...

## მეგობრობის მერიდიანები

# მარტიროს სარიანი

ნოდარ ჯანბერიძე

„მიწა ცოცხალ არსებასავითაა: მას თავისი სული აქვს. და თუ არა გაქვს მშობლიური მიწა, არა გაქვს მჭიდრო კავშირი სამშობლოსთან, ვერ ჰპოვებ შენს თავს, შენს სულს. დარწმუნებული ვარ, რომ არასოდეს ყოფილა მხატვარი უმიწოდ. მიწის გული ადამიანის გულშია. ყველაფერი ამ გულში იღებს სათავეს" — ეს სიტყვები ლაიტმოტივად გასდევს დიდი მხატვრის, მოქალაქისა და პატრიოტის — მარტიროს სარიანის მთელს ცხოვრებას, მთელს შემოქმედებას.

სამყარო, ქვეყნიერება... მათშია მარადისობა და უსაზღვროება.

სილამაზე დედამიწისა. იგი მარადიულია. ამ სილამაზეს უნდა მიაგნო და ადამიანებს აჩვენო. ამას ახერხებენ რჩეულნი, რომელთაც ტალანტი და გაბედულება მოჰმადლებიათ. ტალანტი და გაბედულება ჰქონდა მარტიროს სარიანს. რა ადვილია დაინახო და გადმოსცე სიხეტაკე სილამაზისა! მაგრამ რარიგ ძნელია ეს! რა ძნელია ყოველდღიურ ცოდვილობასა და ჯახირში არ დაჰკარგო უნარი განცვიფრებისა, იგრძნო ბედნიერება, როდესაც ბუნებით აღტაცების განცდა დაგეძალება.

ბუნება შთააგონებდა მხატვარს, ავსებდა სიცოცხლითა და სიხარულით. ბუნებამ გადაუშალა ყველაზე უფრო ადამიანური თვისება — უნარი განცვიფრებისა! აღტაცება იმით, რაც გარს გახვევია—ესაა განსხვავებული თვისება ამ დიდი ადამიანისა, დიდი მხატვრისა.

იგი ამბობდა: „ყოველ ნაწარმოებში შეხამებული უნდა იყოს მხატვრის აღტაცება და განცვიფრება სიცოცხლით, ბუნებით". ამის შედეგი იყო, მას რომ შეეძლო ჩვეულებრივი რამ არაჩვეულებრივად დაენახა და არა მხოლოდ დაენახა, არამედ დახმარებოდა ადამიანებს მიეგნოთ, გამოევლინათ და ეგრძნოთ ის, რასაც გარემო სამყარო მოიცავდა. და მხატვარი სასწაულს ახდენს! ყველაფერი ცოცხლდება ირგვლივ. ადამიანები ხედავენ მიწას, მთებს, მზეს! ნარინჯისფერ, წითელ, იისფერ, მწვანე ფერებს. ა. ვ. ლუნაჩარსკი წერდა: როდესაც სომხეთს ვეწვიე, სარიანის გასულდგმულებული სურათები დავინახეო... და ეს მართალია.

წარმტაცია სომხეთის ბუნება. დიდებულია ის სარიანის ტილოებზე. ბუნებისადმი მიძღვნილი სურათები სარიანისა მუდამ ადამიანზე ფიქრითაა გამსჭვალული.

ადამიანები ფარას მწყემსავენ, ადამიანები მინდორს ხნავენ, ადამიანებს გზები გაჰყავთ. ამიტომაცაა მისი სურათები ცოცხალი. ადამიანზე ფიქრი რომ არა, სარიანის პეიზაჟი მკვდარი იქნებოდა — ესაა მთავარი, რისი გულისთვისაც დაიხატა ეს სურათები. ასე ხატვა შეეძლო ადამიანს, ვისაც არასოდეს უბერდება ხელი, თვალი, გული!

თუ რარიგ ეტრფის მხატვარი ბუნების ნაზობებს, ეს ჩანს ნატურმორტებში, სადაც მკაფიოდ გამოვლინდა მისი ფერწერული ნიჭიერება. ვინ იცის, სარიანმა გადაიტანა სურათებში ცოცხალი ბუნების ეს ფრაგმენტები, თუ წაეხმარა დაგვენახა ისინი. ეს კია, რომ უმხატვროდ ვერასოდეს ვერ მივაგნებდით ასეთ ფრაგმენტს — დასრულებულს და ფერითა და კომპოზიციით ჰარმონიულ ფრაგმენტს. სარიანმა მიაგნო ამას და ჩვენც მისი თვალებით ვხედავთ.

სიცოცხლის სიყვარული და პატრიოტიზმი იყო მისი ხასიათის მთავარი თვისებანი, სიცოცხლის მიწურულამდე ძალას და ენერგიას რომ მატებდა. მას უფლება ჰქონდა დაეწერა: „მთავარი ისაა, ყოველთვის მოქალაქე იყო. გახსოვდეს: ცხოვრება მხატვრისა განუყოფელია დროისაგან, მისი ხალხის ცხოვრებისაგან". ამ სიტყვების სამართლიანობას ადასტურებს მთელი მისი ცხოვრება.

სარიანის სურათები მზითაა გამსჭვალული.

მის ფერებს შუქი მოაქვთ თან! ზუსტად მიგნებული კონტრასტები ჰარმონიულია, ჰქმნის სივრცეს, გამოასხივებს შინაგან შუქს, სულს აღტაცებით ავსებს, ცხოვრების სისავსის შეგრძნებას ჰქმნის. და ეს მარტოოდენ მისია, მარტოოდენ სარიანისეულია. მან შესძლო დაენახა და აეთვისებინა ყველაფერი, რაც დამახასიათებელია უახლესი ფერწერისათვის და ამავე დროს ერთთავად აყურადებდა თავის შინაგან ხმას, არ ღალატობდა ეროვნულ სათავეებს, მშობელი ხალხის, მშობელი მიწის კულტურას ემყარებოდა. მან ჰპოვა ეროვნული ხელოვნების განახლების გზები, შეიტანა შიგ სავსებით ახალი, მაცოცხლებელი ნაკადი.

სარიანი ამბობდა: „მე მინდა მსოფლიოს ვაჩვენო, რომ ჩვენი კლდოვანი მიწა თავის მკერდზე იფარავს შრომისმოყვარე და ნიჭიერ ერთ მუჭა ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს თავისი სულიერი ფასეულობანი, მისი გმირული ისტორიის სიმბოლოს რომ წარმოადგენენ...."

და მისი შემოქმედების მთავარი და უცვლელი თემა ხდება სამშობლო — საბჭოთა სომხეთი.

იგი ჰქმნის სურათების უზარმაზარ გალერეას, მშობელ მიწას და მშრომელ ადამიანს რომ განადიდებენ.

მის სურათებს შეიძლება დიდხანს უცქიროთ, მიუხედავად იმისა, რომ არც ისე ბევრი რამაა ზედ გამოხატული — მარტოოდენ რამდენიმე გაკვრით, ოღონდ ფართოდ, ლაღად მიგდებული წანასმი ფუნჯისა, ესეც ერთ-ერთი გასაკვირველი თვისებაა სარიანის ფერწერისა.

მოცემულია მხოლოდ საერთო რამ — ფორმა, ფერი. მაგრამ სწორედ ეს საერთო გახლავთ მხატვრის ფიქრი და გრძნობა, მნახველისათვის რომ გადაუცია.

განსაცვიფრებელია, ზეთის ფერების ჩვეულებრივმა წანასმებმა როგორ დაიტია გამჭვირვალე ჰაერიც, პაპანაქებაც, სხვადასხვა საგნის ფაქტურაც.

სარიანის ტილოები თავიანთი სიცოცხლით ცოცხლობენ. ხასხასა კოლორიტი, ენერგიული წანასმი ფუნჯისა, გარეგნული სტატიკურობა მნახველს ეხმარება ჩასწვდეს სურათის სიღრმეს.

სურათებისთვის დამახასიათებელია სიცოცხლის სიყვარული, ისინი აღიქმება, როგორც თვით ბუნება. ამის წყალობით, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები სარიანის სურათებს რომ ეცნობიან, თავიანთ ადამიანურ გრძნობათა ასახვას ხედავენ შიგ.

ესაა ერთ-ერთი მხარე სარიანის ხელოვნებისა, ამიტომაც მისი სურათები ზოგადსაკაცობრიო ხასიათისაა.

სარიანის ხელოვნება გაზრდა ეროვნულ ჩარჩოებს. წმინდა ეროვნული — ზოგადსაკაცობრიო ხდება. მსოფლიო ხელოვნების უთვალსაჩინოეს ნიმუშთა მსგავსად, სარიანის ტილოები ყველა ხალხის კუთვნილებად იქცა. „ადამიანები ჩვენს პლანეტაზე ერთმანეთს ავსებენ და ერთ მთლიანს შეადგენენ. რაც უფრო მკაფიო და სუფთაა ეროვნული თავისებურებანი, მით უფრო მდიდარი და საინტერესოა მთელი. მაშასადამე, რამდენადაც ეროვნულია ხელოვნება, იმდენადვე ზოგადსაკაცობრიოცაა", — წერდა თვით მ. სარიანი.

საქართველოში დიდად აფასებენ მ. სარიანის ხელოვნებას. ჩვენთვის განსაკუთრებით ახლობელი და გასაგებია მისი ტილოები. ქართველი და სომეხი ხალხები საუკუნეთა მანძილზე ტყუპი ძმებივით მეგობრულად ცხოვრობდნენ, ერთად გადაუტანიათ ყოველგვარი ჭირ-ვარამი, რაც კი თავს დასტეხიათ ამ მცირერიცხოვან, მაგრამ გულმედგარ ხალხებს. ერთად იყოფდნენ ლხინსაც. ამ დღეებში, როდესაც მთელი ქვეყანა აღნიშნავს დიდოსტატის სახელოვან იუბილეს, საქართველოშიც ზეიმია, განსაკუთრებული ზეიმი.

სარიანი ყოფილა საქართველოში, უცხოვრია თბილისში, უმეგობრია ქართველ და თბილისში მცხოვრებ სომეხ საზოგადო მოღვაწეებთან.

ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს, 1916 წლის გაზაფხულს, მან ცოლად შეირთო თბილისელი სომეხი ლუსიკ აღაიანი, რამაც სამუდამოდ დააკავშირა თბილისთან.

1916-1917 წლებში სარიანი მონაწილეობდა თბილისის სომეხ მხატვართა საზოგადოების მოღვაწეობაში. მას მთელი სიცოცხლე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მხატვრებთან.

დიდი მღელვარებით და სიხარულით ხვდებოდნენ თბილისელები 1955 წელს თბილისში გახსნილ მ. სარიანის [illegible] გამოფენას. რომლის გახსნას თვით მხატვარი დაესწრო. [illegible] გაზრდობის წლებმა, აქ ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ მისი მეგობრები; ამიტომაც იყო, რომ 75 წლის მხატვარი ისეთი ხალისით ჩამოვიდა თავისი გამოფენის გახსნაზე.

მხატვარმა ხანგრძლივი შემოქმედებითი გზა განვლო. მთელი ეს წლები, მიუხედავად ასაკისა და მოვლენებისა, იგი ქმნიდა, მუშაობდა, მუშაობდა ჭაბუკური შემართებით, მარად ახალგაზრდა.

მ. სარიანის შემოქმედებითი ევოლუცია რთული და ორგანული იყო. მან შეინარჩუნა პოეტური ხედვა სამყაროსი, სიჭაბუკეში რომ ახასიათებდა. და ამავე დროს მშობლიური ბუნებისა და ხალხის ნატიფმა აღქმამ და თავისებურმა ასახვამ აღამაღლა იგი მსოფლიო ფერწერის ჭეშმარიტი ოსტატის დონემდე.

მის დღიურში ასეთი ჩანაწერია: „ბუნება ქმნის ადამიანს იმისათვის, რომ მისი მეშვეობით დაინახოს თავისი თავი, აღფრთოვანდეს თავისი თავით. ადამიანი ბუნებაა. ბუნება — ადამიანი. სიკვდილი არ არსებობს". „ადამიანი არ კვდება, რადგან იგი თვით ბუნებაა".

ამ ფიქრებით ცხოვრობდა მ. სარიანი, ამ ფიქრებით ქმნიდა, სძლია სიკვდილი და თავის ტილოებში განაგრძობს სიცოცხლეს.

სარიანის სახელი ეკუთვნის საბჭოთა მხატვრების მრავალეროვნულ არმიას. საქართველოს მხატვრები დიდად აფასებენ მის ხსოვნას და დღეს, ამ საზეიმო საათს, მდაბლად თავს უხრიან სომხეთს — დიდი ვარპეტის სამშობლოს.

# პოეზიის „გზა"

რაულ ჩილაჩავა

გამოჩენილი უკრაინელი პოეტი მიკოლა ბაჟანი ერთი უპირველესთაგანია, ვინც რაინდული შემართებით ატარა ქართველთა და უკრაინელთა ძმადნაფიცობის დროშა, ფანატიკური ერთგულებით ზიდა ქართული მწერლობისადმი სიყვარულის საპატიო ტვირთი. იგი დღესაც მის ალალ მოხარკედ თვლის თავს და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბევრი თამამი ჩანაფიქრის ხორცშესხმას აპირებს.

კაცი, რომელმაც თარგმნა „ვეფხისტყაოსანი" და „დავითიანი", რომელიც მეგობრობდა ტიციანსა და პაოლოს, სიმონ ჩიქოვანსა და გიორგი ლეონიძეს, თითქმის ლეგენდადაა ქცეული ახალგაზრდა თაობისთვის. ჩვენი ეროვნული კულტურის წინაშე დიდი დამსახურებისთვის მას მინიჭებული აქვს რუსთაველის პრემიის ლაურეატისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებები. მარტო ბოლო ათ წელიწადში თბილისის გამომცემლობებმა დასტამბეს მიკოლა ბაჟანის ლექსთა ოთხი კრებული და ორი გამოკვლევა მის შემოქმედებაზე. მკითხველმა ესესაა მიიღო პოეტის ახალი, რჩეული—„გზა", რომელიც „მერანმა" გამოსცა.

რაც არ უნდა სახელმოხვეჭილი იყოს ავტორი, საკუთარი წიგნის სასიგნალო ეგზემპლარს მუდამ მღელვარებით ელოდება. მიკოლა ბაჟანს ასზე მეტი წიგნი გამოუცია, სასიგნალოებთან დაკავშირებულ თრთოლვასაც თითქოს შეეჩვია, მაგრამ „გზის" პირველი ცალის მიღებამ მაინც უჩვეულოდ აალელვა იგი. პოეტმა სავადმყოფოდან დამირეკა: თბილისიდან არაჩვეულებრივი საჩუქარი მივიღე, უკვე აღარც ავადა ვარ, აღარც არაფერი მტკივა, გამოვკეთდი, ხვალვე გავეწერები. უკეთეს წამალს აქ ვინ მომცემსო. როცა რამდენიმე დღის მერე სამსახურში მივაკითხე, მაგიდაზე სქელტანიანი წიგნი დამიდო და „შემომჩივლა" — რა ვქნა, ქართველები უხერხულ მდგომარეობაში მაგდებენ ამდენი ყურადღებით, მისი ნახევარიც არ დამიმსახურებიაო...

„გზა" მიკოლა ბაჟანის ყველაზე სრული კრებულია ქართულ ენაზე. მრავალრიცხოვან მთარგმნელთა ერთობლივი შრომით მკითხველის წინაში წარმოსდგა შესანიშნავი პოეტი და მეცნიერი, ეპოქის გულმართალი მეხოტბე და მემატიანე, ქართული პოეზიის უპირველესი ელჩი უკრაინაში.

წიგნი იხსნება გრიგოლ აბაშიძის მოკლე შესავალი წერილით. შემდგენლის, პროფ. ო. ბაქანიძის ვრცელი წინასიტყვაობა გვიხატავს თანამედროვეობის თვალსაჩინო ხელოვანის საკმაოდ მკაფიო პორტრეტს. რჩეული მართლაც იძლევა საშუალებას თვალი მივადევნოთ შემოქმედის მიერ გავლილ რთულსა და სახელოვან გზას პირველი პოეტური ცდებიდან ეპიკურ ტილოებამდე. „გზის" უდავო ღირსებაა ისიც, რომ იგი ასახავს საქართველოსადმი ავტორის ინტერესთა სფეროსაც.

მიკოლა ბაჟანს აქვს ციკლი „ქართული ლექსების" სახელწოდებით. ნაწარმოებთა მარტო სათაურები: „თმოგვის გზა", „ნანგრევები ქუთაისში", „ვაჟა-ფშაველას კუბოსთან", „ცხოველმყოფელი წყარო თბილისის" მკაფიოდ მიანიშნებენ წიგნის თემატიკას. ეს ლექსები მართლაც ქართულია თავიანთი სულით, პათოსით, აღტყინებით, ხილვებით, მე ვიტყოდი, პატრიოტიზმითაც.

მიკოლა ბაჟანი ცნობილია, როგორც არა მარტო ჩვენი პოეზიის დაუცხრომელი მთარგმნელი, არამედ მისი დაკვირვებული მკვლევარიც. პოეტმა მრავალი სტატია მიუძღვნა რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, სანდრო შანშიაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, კარლო კალაძის და სხვათა შემოქმედებას. იგი ავტორია საინტერესო მოგონებებისა, რომლებშიც დიდი სიყვარულით ჰყვება საქართველოში გატარებულ დღეებზე, ქართველ თანამოკალმეებზე, იხსენებს „ვეფხისტყაოსნისა" და „დავითიანის" თარგმანებზე მუშაობას, მადლობის ნიშნად მოწიწებით უხრის თავს მათ, ვინც პროფესიული კონსულტაციებით ხელი შეუწყო საშვილიშვილო საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში.

წიგნში მეტ-ნაკლები სისრულითაა წარმოდგენილი ციკლები: „ლექსები უზბეკეთზე", „ბორისლავური მოთხრობები", „ომის დღეებში", „კიევის ეტიუდები", „სტალინგრადის რვეული" (ხომ არ აჯობებდა „კიევური ეტიუდები", „სტალინგრადული რვეული"?), „ინგლისური შთაბეჭდილებანი", „მაცხოვრის კოშკთან", „მიცკევიჩი ოდესაში", „იტალიური შეხვედრები", „ოთხი მოთხრობა იმედზე", „უმანური მოგონებები", პოემები: „დანიელ გალიცკი", „გაფრენა გრიგალში".

„გზაში" ს. ჩიქოვანის, ა. მირცხულავას, ვ. გაფრინდაშვილის, ჩ. მოსაშვილის, მ. პატარიძის, გ. გაჩეჩილაძის მიერ ადრე შესრულებული თარგმანების გვერდით უხვადაა დაბეჭდილი ახალი თარგმანებიც. ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის, კ. კალაძის, მ. ლებანიძის, შ. ნიშნიანიძის, ხ. ბერულავას, ო. ჭილაძის, თ. ჭილაძის, მ. ფოცხიშვილის, თ. ჭანტურიშვილის, ნ. აბესაძის მხარდამხარ ბაჟანის ქართულად ამეტყველება უცდიათ პ. ნაცვლიშვილს, ვ. ხორნაულს, მ. ქურდიანს, დ. ბედიანიძეს, ე. ნიჟარაძეს, ნ. მელაშვილს, ნ. გავაშელს. ესაა ჭეშმარიტად თაობათა ესტაფეტა, მიკოლა ბაჟანის პოეზიისადმი ქართული მწერლობის საყოველთაო სიყვარულის დასტური.

(თუმცა, ახალბედები, უფროსი კოლეგებისაგან განსხვავებით, ხშირად ვერ უწევენ ღირსეულ მეტოქეობას ორიგინალს. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი აქ ენობრივი ბარიერიც არის. თარგმანთა აბსოლუტური უმრავლესობა პწკარედიდანაა შესრულებული. პწკარედი კი, რაც არ უნდა იდეალური იყოს, მაინც „მინის ქვეშ ამოდებული ვარდივითაა", სილამაზეს ამჩნევ, მაგრამ სურნელს ვერ გრძნობ.)

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ „გზაში" არსებითად დაცულია სათარგმნი და მთარგმნელი პოეტის შემოქმედებით ინდივიდუალობათა ჰარმონიულობის პრინციპი.

„ადამიანი! შენ იქებდი მას თვით წყვდიადშიც, მთებშიც, ჯუნგლებშიც, შენი სიტყვით, სიტყვით მეფურით, ჭირშიც, ზეიმშიც შენ იყავი მისი დარაჯი, ის შენ გეკუთვნის, ის, მეტყველიც, დადუმებულიც".

ეს ერთი სტროფიც საკმარისია, რომ იგრძნო მთარგმნელის სტილი, მაგრამ არამც და არამც ეს არაა უცხოენოვანი მხატვრული ქსოვილის საკუთარ თარგზე გამოჭრა. ი. აბაშიძეს სათარგმნად შეურჩევია სწორედ ის ლექსი, რომელიც ზედმიწევნით მიესადაგა მის პოეტურ იდეალს, მის ხელწერას. თარგმანიც ორიგინალის ბადალი გამოვიდა — საზეიმო მაჟორული ჟღერადობისა.

იგივე ითქმის ჭ. ჩარკვიანის თარგმანებზეც — ქართველი პოეტი არჩევს საკუთარი მოქალაქეობრივი მრწამსის, საკუთარ ქმნილებათა ყაიდის ლექსებს და წარმატებასაც აღწევს („ლენინის მთაზე", „ადამიანისა და ხალხის სახელით", „ლენინის მუზეუმში").

ჩვეული ოსტატობით, მაღალი პოეტური კულტურით აუხმიანებია გ. აბაშიძეს მ. ბაჟანის ლექსები: „ფიცი", „გურამიშვილის თარგმნისას". ეს ავტობიოგრაფიული ნაწარმოები რომანტიკულად წარმოგვიდგენს „დავითიანის" მთარგმნელის სამუშაო დღეს მცხეთის შემოგარენში.

პროფესიული ოსტატობის გარეგნული კვალი აღარც კი ეტყობა „თვალების" ო. ჭილაძისეულ თარგმანს, რამდენად დახვეწილია ყოველი სტრიქონი თუ პოეტური ფრაზა. ასევე მსუბუქად და ძალდაუტანებლადაა გაქართულებული ბაჟანის ლექსები მ. ლებანიძის მიერ („აღმოსავლეთის ქარი", „ბრძოლა", „მალემსრბოლი"). ორიგინალისადმი ერთგულებითა და რეალისტურობით გამოირჩევა ა. ასანიძის მიერ შესრულებული „წვიმის პრელუდიის" თარგმანი. მთარგმნელი ფლობს უკრაინულ ენას და პოემის ქართულ ტექსტსაც აშკარად ეტყობა პირველწყაროსთან უშუალო კავშირი.

„გზის" ერთ-ერთი ღირსება ისიც არის, რომ მასში მთლიანადაა შეტანილი პოეტის 1978 წელს გამოცემული კრებული „ნიშნები", რომელიც უკრაინულმა კრიტიკამ დამსახურებულად აღიარა ეროვნული პოეზიის უთვალსაჩინოეს მიღწევად. მკითხველი იხიბლება ავტორის მხატვრული აზროვნების მასშტაბურობით, მისთვის წინათ ნაკლებად დამახასიათებელი ინტიმური ნაკადის მძლავრი მჩქეფარებით.

პირდაპირ განსაცვიფრებელია ბაჟანის ჭაბუკური შრომისუნარიანობა და უბერებელი ნიჭი, რომელსაც პრაქტიკულად არ განუცდია მტკივნეული „ჩავარდნები". ბოლო ათ წელიწადში კი თითქოს ხელმეორედ დაფრთიანდა მისი მგზნებარე მუზა. ორიგინალურმა თემებმა, ინტონაციებმა, ლექსის რითმულ-მელოდიურმა ჟღერადობამ ახალი კუთხით წარმოაჩინა მიკოლა ბაჟანის პოეზია, რომლის თვისობრივი მეტამორფოზა ყველაზე მკაფიოდ სწორედ „ნიშნებში" გაცხადდა.

ქართველმა მთარგმნელებმა (შ. ნიშნიანიძე, მ. ფოცხიშვილი, ნ. აბესაძე) ძირითადად კარგად გაართვეს თავი ციკლის გადმოქართულების რთულ ამოცანას.

მომღერლის ფსიქოლოგიაში ღრმა წვდომით გამოირჩევა „ედიტ პიაფის ხმა" (მთ. მ. ფოცხიშვილი), რომელშიც ხაზგასმულია შემოქმედის მოქალაქეობრივი პოზიციის, მრწამსის ძალა.

როცა ალყაშემორტყმულ ლენინგრადში შოსტაკოვიჩი თავის მეშვიდე სიმფონიას ქმნიდა, მიკოლა ბაჟანი ალმოდებულ სანგრებში „სტალინგრადულ რვეულს" წერდა. ამიტომაცაა ბევრი საერთო ამ ორ ნაწარმოებს შორის, ამიტომაც შეძლო ბაჟანმა შოსტაკოვიჩის მუსიკის მძლავრი სული საკუთარი სტრიქონებისთვისაც ჩაებერა. „აფეთქებებით დათხრილ ღაბლობს ფარავდა ბოლი, ვიცოდით: ქვეყნის ფარად ვდგავართ, ვერავინ შეგვცვლის.



მტკიცედ დგა, ჩემო სტალინგრადო! განაგრძე ბრძოლა! წინ, ბატარეა! ბატარეა, ცეცხლი და ცეცხლი!" (მთარგმნელი ნ. აბესაძე).

მიკოლა ბაჟანი საერთოდ ძნელად სათარგმნი პოეტია. მას აქვს რიტმის გამძაფრებული გრძნობა, იგი ზედმიწევნით ფლობს სტრიქონის მუსიკალურობას, ხშირად მიმართავს ალიტერაციებს. მისი ლექსი ლექსიკური სიმდიდრით, მეტაფორული სირთულითა და პოლიფონიური ჟღერადობით გამოირჩევა.

თარგმანის სიძნელეები აშკარად იგრძნობა სარეცენზიო კრებულის ბევრ ლექსში, სადაც ზუსტად არ არის გადმოტანილი როგორც დედნის აზრი, ისე ამა თუ იმ ლექსის მუსიკალობა და რიტმი.

ზოგიერთ თარგმანში გვხვდება სუსტი, ღარიბი რითმები; რითმებზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ მიკოლა ბაჟანი მიმართავს ხაზგასმულად ზუსტ, რთულ, მრავალმარცვლიან რითმებს. ეს პოეტის მაღალი ვერსიფიკატორული ოსტატობის მაჩვენებელი გახლავთ. თარგმანში ამის გათვალისწინება სასურველი, უფრო მეტიც, აუცილებელია.

ციკლში „ოთხი მოთხრობა იმედზე" შეცდომითაა შეტანილი ლექსები „ტიჩინას კლარნეტი" და „ტრიპტიხი სიმონ ჩიქოვანს". ამ ციკლს ეკუთვნის მარტო „სიკვდილი ნიკო ფიროსმანაშვილისა". ორი დანარჩენი დამოუკიდებელი ნაწარმოებია.

რამდენიმე სიტყვა პროზაულ თარგმანებზე. ჩემთვის, ცოტა არ იყოს, უხერხულია მათზე საუბარი, რადგან მათი ნახევარი ჩემს მიერაა თარგმნილი, რაც შეეხება მეორე ნახევარს, ისინი რ. ხვედელიძემ თარგმნა. იგი უკრაინული ლიტერატურის სპეციალისტია, კარგად იცნობს ბაჟანის შემოქმედებას, კერძოდ, მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის სფეროს, ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ „ვეფხისტყაოსნისადმი" მიძღვნილი სტატიები საკითხის ღრმა ცოდნითაა გადმოქართულებული. მაგრამ, როგორც იტყვიან, უცხო თვალი უკეთ ამჩნევს სხვის „ცოდვებს". მინდა იმ მცირერიცხოვან ლაფსუსებზე მივუთითო, რომლებიც თვალში მომხვდა. სტატიაში „უკვდავი პოემა" „ДУХОВЕНСТВО" თარგმნილია „სასულიერო წოდებად" აჯობებდა — „სამღვდელოება". „უსწორმასწორო სტრიქონები" უნდა შეიცვალოს „კოჭლი სტრიქონებით". „რას სვამ ასე ხალისით კაცობრიობა ამ წმინდა წყაროდან?"—გვხვდება მეორეგან. ეს უხერხული კითხვა ასე უნდა გასწორდეს: „რატომ სვამს ასე ხალისით კაცობრიობა ამ წმინდა წყაროს წყალს" ან „რატომ ეწაფება"...

დაკვირვებული მკითხველი მსგავს შეუსაბამობას, ალბათ, სხვა თარგმანებშიც იპოვის, რომლებიც ამ სტრიქონების ავტორს ეკუთვნის.

საგაზეთო რეცენზია საშუალებას არ იძლევა უფრო ვრცლად ვიმსჯელოთ „გზის" ავ-კარგზე, შევეხოთ ადრეულ თარგმანებს, რომლებსაც თავის დროზე ქართულ პრესაში შეფასება არ დაჰკლებიათ. მართალია, ზოგიერთი რამ მათშიცაა საჭოჭმანო, ბევრი უბრალოდ, მოძველებულადაც გამოიყურება, ბევრს კიდევ გულისხმიერი რედაქტორის ხელი სჭირდება, მაგრამ ეს ხარვეზები ოდნავაც ვერ ამცირებენ რჩეულის მხატვრულ-ესთეტიკურსა და შემეცნებით ღირებულებას, ვერ ჩრდილავენ მის უდავო ღირსებებს.

მიკოლა ბაჟანის რჩეულის დასტამბვით მთარგმნელთა კოლექტივმა, შემდგენელმა და გამომცემლობამ კიდევ ერთი ნათელი ფურცელი ჩაწერეს ქართულ-უკრაინული ძმობის მატიანეში.

## ვერნისაჟი

# მხატვრის პოეტური სამყარო



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოფენო დარბაზი კარგახანია ხელოვნების მოყვარულთა თავშეყრის ადგილად იქცა. ლადო გუდიაშვილის ნახატებიდან დაწყებული, ახალგაზრდა თაობის ქართველი მხატვრების შემოქმედებით დამთავრებული, მნახველი უკვე არაერთი ექსპოზიციის მოწმე გახდა.

ამჟერად საზოგადოების წინაშე წარსდგა მხატვარი ტიტე შეყილაძე. ეს მისი მეორე პერსონალური გამოფენაა. ჩვეულებრივ კი იგი თითქმის ყველა საერთო გამოფენის მონაწილეა, რაც კი თბილისში გამართულა ამ ბოლო ათწლეულის მანძილზე.

ტიტე შეყილაძე ერთნაირად ძლიერია როგორც გრაფიკაში, ისე ფერწერაში. მისი პალიტრისათვის დამახასიათებელია ფერთა არაჩვეულებრივი სიუხვე. მხატვრის ნიჭი და გამოცდილება ჰარმონიულ მთლიანობაში აწესრიგებს ფერებს და საოცარი შეხამებით გადააქვს ტილოზე ისე, რომ ერთი ფერი არათუ გამორიცხავს მეორეს, პირიქით — ავსებს, აძლიერებს, ამდიდრებს მას და საბოლოოდ ქმნის ერთ საერთო გამას, რომელიც ესოდენ გამორჩეული და თავისთავადია.

მაგრამ მხატვრის სიძლიერე მარტო ფერების დამორჩილება როდია: სიმბოლოებით აზროვნება, სახეებისა და სიუჟეტთა მრავალფეროვნება, მუსიკალური პრინციპების და პოეტური აზროვნების გამოყენება ამდიდრებს ამ ორიგინალური მხატვრის შემოქმედებას; ყოველივე ამას განსაკუთრებით უწყობს ხელს ავტორის მიერ ქართული ფოლკლორისა და ქართული პოეზიის ღრმა ცოდნა: საკმარისია დავასახელოთ ისეთი ნახატები, როგორიცაა „წიქარა", „ურმული", „ლილეო", „ვაჟა"; „ხმელი წიფელი" და გალაკტიონისა თუ ბარათაშვილის თემებისადმი მიძღვნილი ნახატები.

საინტერესოა მხატვრის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევრის „ვაჟას" მხატვრული გადაწყვეტა. დიდი მგოსანი, როგორც ბუნების ღვიძლი შვილი, წარმოდგენილია არა ცალკე, არა განდგომილად, არამედ ბუნებასთან შერწყმული ვაჟას სხეული კლდეებიდან ამოდის, ბუნების სტიქიის ლოგიკური გაგრძელებაა.

სურათში „ხმელი წიფელი" ხე უფრო სილუეტს წააგავს, უფრო შიშველ ლანდს, ვიდრე ბებერ წიფელს, მაგრამ ის ცოცხალი ფონი, ის ნათელი ფერები, საიდანაც ხმელი წიფლის ორეული ამოდის, იმის მინიშნებაა, რომ ის მწვანით კიდევ მრავალჯერ შეიმოსება.

საერთოდ, მხატვრის მრავალ ნამუშევარში წარმოდგენილია ხე, როგორც სულიერი არსება, როგორც მიწის სტიქია, მიწის სული, ცისა და მიწის შემაერთებელი ხიდი. „მუხაში" სწორედ ამ უკანასკნელის ძალაა განივთებული.

მხატვარი არსად არ კარგავს ზომიერების გრძნობას. მან იცის, სად დაიწყოს და სად დაამთავროს ნახატი, რა ხერხი მიუყენოს ამა თუ იმ სიუჟეტის გადაწყვეტას. სწორედ ამის გამო „ძველ სასაფლაოში" მიწის წიაღიდან ამოსული და ცისკენ გაფრენილი სულები ადამიანის უკვდავებაზე მიგვანიშნებენ.

მხატვრის რჩეულ ტილოებს შორის დავასახელებდით მის მოზრდილ სურათს, რომელიც სიმღერაა დაუსრულებელი გზებისა, ბედნიერებისა და სივრცეების დაპყრობისა.

ტიტე შეყილაძე დაუღალავი, მაძიებელი შემოქმედია, რაც მის ფერწერაშიც ცხადად იგრძნობა.

ფრანგი მოქანდაკის ემილ ბურდელის სიტყვები რომ გავიმეოროთ, ნახატების საშუალებით, ჩვენ შევიცნობთ თვალუწვდენელი ცის უსაზღვროებას, წესრიგისა და ჰარმონიის სიმბოლოს.

მხატვრის მთელი ცხოვრება — ეს სილამაზეა; ხოლო სილამაზე, როგორც იგივე ბურდელი იტყოდა, ფლობს მარადიულ უკვდავებას.

ავთანდილ ვართაგავა




გამოდის პარასკეობით

ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,

რედაქციის მისამართი,

380007, თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13.

ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.



მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ღვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 03610